

თბილისის სასულიერო აკადემია
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**ქართული ნათარგმნი
ჰომილეტიკური ძეგლები**

IV

**TBILISI THEOLOGICAL ACADEMY
NATIONAL CENTER OF MANUSCRIPTS**

**Homilies on the Baptism of our Lord Jesus Christ
Translated into Georgian**

Part I

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY PUBLISHING HOUSE

TBILISI 2020

თბილისის სასულიერო აკადემია
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ნათლისღების ჰომილიების
კველი ქართული თარგმანები

ნაწილი I

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა

თბილისი 2020

წინამდებარე ტომი არის თბილისის სასულიერო აკადემიაში დაარსებული სერიის – „ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები“ – მორიგი გამოცემა. მასში წარმოდგენილია ნათლისღების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები. მასალის დიდი მოცულობის გამო ამ ტექსტების გამოცემა ივარაუდება ორ ნაწილად.

პირველ ნაწილში შევიდა წმ. ნინოსა და შვიდი დიდი ბიზანტიელი მამის ნათლისღების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ცხრამეტი ჰომილია. ზოგიერთი მათგანი, ადრე გამოცემული, რედაქტირებული და შევსებული ყველა არსებული ნუსხის მიხედვით, შევიდა ამ გამოცემაშიც, ჰომილიების ნაწილი კი პირველად ქვეყნდება და ისინი გამო-საცემად მოამზადეს სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულებმა.

მეორე ნაწილი დაეთმობა წმ. გრიგოლ ნაზიანზელის ნათლისღებისადმი მიძღვნილი ჰომილიების გამოცემას.

The present publication is the latest book of the series founded at Tbilisi Theological Academy – "Homiletic Monuments Translated into Georgian". The edition represents a collection of old Georgian translations of homilies written for the feast of the Baptism of the Lord. Because of an extensive number of the texts, they are planned to be published in two parts.

The first part comprises nineteen homilies on the feast of the Baptism of the Lord. The authors are Saint Nino and seven great Byzantine Fathers. Some of these texts had been published, edited and completed previously, according to all the other extant ones; the rest of them, which were prepared by the graduates of the Theological Academy, are published for the first time in this edition.

The second part of the book will include homilies on the Baptism of the Lord written by Saint Gregory of Nazianzus.

რედაქტორი

Editor

მაია რაფავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

Maia Raphava

Doctor of Philological Sciences

რეცენზენტი

Reviewer

ნინო მელიქიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

Nino Melikishvili

Doctor of Philological Sciences

© თბილისის სასულიერო აკადემია

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ISBN 978-9941-9655-3-1

სახჩევი

რედაქტორის წინასიტყვა	9
კვლევითი ხასიათის შენიშვნები	
ზოგიერთ პომილიათა შესახებ	11
ტიქსტისათვის	26
ტიქსტები	
I საკითხავი, თქმული წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოძისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა	31
II თქმული კვრილჳსი ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა	41
III 1. თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა იოვანეს მიერ იორდანესა მდინარესა (ფსევდოოქროპირი)	53
2. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისაჲ განმარტებაჲ სიტყჳსაჲ მის, ვითარმედ: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“	75
IV 1. საკითხავნი განცხადებისანი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მთავარეპისკოპოსისა კოსტანტინეპოვლელისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა იოვანესგან იორდანესა მდინარესა	89
2. საკითხავნი წმიდისა განცხადებისანი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მთავარეპისკოპოსისაჲ კოსტანტინეპოვლელისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა	99
3. მისივე, იოვანეს თქმული კოსტანტინეპოვლელ ეპისკოპოსისაჲ, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა	108

4. თქუმული მისივე, იოვანე მთავარეპისკოპოსისაჲ კოსტანტინეპოვლელისაჲ, ნათლისღებისათჳს უფლისა	112
5. თქუმული იოვანე ოქროპირისაჲ ნათლისღებისათჳსვე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა	117
6. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა	126
7. საკითხავი, თქუმული მისივე, წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, ღმრთის გამოცხადებისათჳს	139
V	
1. თქუმული წმიდისა პროკლე, კოსტანტინეპოვლელ მთავარეპისკოპოსისაჲ, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა	146
2. ამასვე დღესა, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა პროკლე კოსტანტინეპოვლელ პატრიარქისაჲ, სიცუჳად განცხადებისათჳს უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა	158
3. ამასვე დღესა, თქუმული წმიდათა შორის მამისა ჩუენისა პროკლე კოსტანტინეპოვლელ პატრიარქისა, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა	165
VI	
1. თქუმული წმიდისა ევსები მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა	175
2. საკითხავი, თქუმული ევსები მთავარეპისკოპოსისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა	186
VII	
თქუმული იელიანწ, ეპისკოპოსისაჲ ტაბია ქალაქისაჲ, ნათლისღებისათჳს ქრისტეს, ძისა ღმრთისა, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, იოვანწს მიერ	206

VIII 1. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სოფრონ იმერუსალიმელ პატრიარქისაჲ სიტყუაჲ წმიდისათჳს ნათლისღებისა მაცხოვრისა ჩუენისა	211
2. მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა სოფრონ იმერუსალიმელ პატრიარქისაჲ, ნათლისღებისათჳს მაცხოვრისა და ზედააღდგომისათჳს სარკინოზთაჲსა	250
ლექსიკონისათჳს	279
ლექსიკონი	281
რეზიუმე	304
ბამოყენებული ლიტერატურა	306

ჩვენს წინასიტყვა

წინამდებარე გამოცემა შეიცავს დიდი ბიზანტიელი მამების ნათლისღების ჰომილიების ძველ ქართულ თარგმანებს.

ცნობილია, რომ ძველი ქართული ჰომილეტიკური მწერლობა შინაარსობრივად უაღრესად მრავალფეროვანია. ჰომილია, ანუ ქადაგება, თავისი შინაარსით შეიძლება იყოს აპოლოგეტიკური, აგიოგრაფიული, ეგზეგეტიკური, დოგმატურ-პოლემიკური და ა.შ. რომელიმე ჰომილეტიკური ძეგლი შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა ჟანრის ფარგლებში თავსდებოდეს. დანიშნულების კუთხით, ჰომილია არსებობს სადღესასწაულო, ასკეტურ-სამოძღვრო, წმინდანთა მოსახსენებელი, ენკომია (შესხმითი სიტყვა) და ეპიტაფია (სამგლოვიარო სიტყვა).

ქართულ ენაზე საეკლესიო მამათა ქადაგებების თარგმნა უძველეს დროშია დაწყებული. მათი უდიდესი ნაწილი X საუკუნემდეა გადმოღებული. ეს თარგმანები, ძირითადად, თავმოყრილია ჰომილეტიკურ-აგიოგრაფიულ საკითხავთა კრებულებში, მრავალთავეში. მათი მთარგმნელები უცნობია. ერთადერთი გამოჩაჩივანია სოფრონ იერუსალიმელის (VI-VII სს.) ორი ქადაგება, რომელთაგან ერთი ნამდვილად ეფრემ მცირის თარგმანია, ხოლო მეორის მთარგმნელად, ასევე, ეფრემი ივარაუდება.

დიდი ბიზანტიელი საეკლესიო მწერლების მიერ ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით წარმოთქმული ქადაგებებიდან ძველ ქართულ მწერლობაში დასტურდება შემდეგი ავტორების – წმ. ნინოს († 338 წ.), წმ. კირილე იერუსალიმელის († 386 წ.), წმ. გრიგოლ ნაზიანზელის († 389 წ.), წმ. გრიგოლ ნოსელის († 394 წ.), წმ. იოანე ოქროპირის († 407 წ.), წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელის († 446 წ.), ევსები ალექსანდრიელის (V ს.), ივლიანე ტაბიელ ეპისკოპოსისა (V ს.) და წმ. სოფრონ იერუსალიმელის († 638 წ.) – ჰომილიები.

წინამდებარე კრებული გამოდის იმ სერიით, რომელიც დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიაში: „ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები“. ნათლისღების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ჰომილიების ქართული თარგმანების გამოქვეყნება ივარაუდება ორი ტომის ფარგლებში ორ ნაწილად.

პირველ ტომში წარმოდგენილია წმ. ნინოსა და შვიდი ბიზანტიელი ავტორის ცხრამეტი ქადაგება. მასში ქვეყნდება როგორც აქამდე გამოუცემელი, ისე მრავალთავეს კრებულებში (ხანმეტი, სინის, ათონის, ტბეთის, პარხლის, უდაბნოს და კლარჯული) უკვე გამოცემული ტექსტები. გამოქვეყნებული ტექსტები ყველა არსებულ უძველეს ხელნაწერთან შედარდა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ადრინდელ გამოცემებში გაპარული ზოგი უზუსტობის გასწორება.

მეორე ტომი ჰომილიების ტექსტების შედარებით დიდი მოცულობისა და გამოცემის რამდენადმე განსხვავებული პრინციპების გათვალისწინების გამო, დაეთმოა წმ. გრიგოლ ნაზიანზელის ნათლისღების ჰომილიებს.

ჰომილიები დალაგებულია მათი ავტორების ქრონოლოგიის მიხედვით. ჰომილიები გამოსაცემად მოამზადეს და რედაქტირება გაუწიეს შემდეგმა პირებმა:

1. წმ. ნინოს ჰომილია – **მღვდელი ვლადიმერ ვახტანგაძე** (თეოლოგიის მაგისტრი).

2. მრავალთაგების კრებულებში ადრე გამოცემული ჰომილიები: წმ. კირილე იერუსალიმელის ერთი ჰომილია; წმ. იოანე ოქროპირის ექვსი ჰომილია (1, 2, 3, 4, 5, 6), ივლიანე ტაბიელის ჰომილია – რედაქტირება: **გიორგი ჩიქოვანი** (თეოლოგიის მაგისტრი).

3. წმ. გრიგოლ ნოსელის ჰომილია (2) – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ექვთიმე კოჭლამაზაშვილი**.

4. ფსევდოოქროპირის (წმ. გრიგოლ ნოსელის ჰომილია [1]), წმ. იოანე ოქროპირის ჰომილია (7), წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელის ჰომილიები (1, 2, 3), ფსევდოევსები ალექსანდრიელის ჰომილიები (1, 2) – **ლაშა ტყეშუჩავა** (თეოლოგიის მაგისტრი). ამ ჰომილიათა ტექსტები ბერძნულთან შეადარა და ლექსიკონი მოამზადა ლაშა ტყეშუჩავამ, ბერძნულიდან ახალქართულად თარგმნილი მონაკვეთების რედაქტირება ეკუთვნის **მონაზონ ექვთიმე კრუპიციის**.

5. წმ. სოფრონ იერუსალიმელის ჰომილიები (1, 2) – **დეკანოზი გიორგი ბერიშვილი** (თეოლოგიის მაგისტრი).

კვლევითი ხასიათის
შენიშვნები ზოგიერთ ჰომილიათა შესახებ*

წმ. ნინო († 338 წ.)

ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობაში კარგად იყო ცნობილი წმ. ნინოს სახელთან დაკავშირებული ორი ქადაგება: ქრისტესშობისა¹ და ნათლისღების.² ნათლისღების ჰომილია – „თქმული წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოისი, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „ნათელი არს ღმერთი, ნათელი არს პირველი...“ (A 19, X ს., 194v-198r; A 95, XI ს., 142r-145v) – მაცხოვრის ნათლისღებას განგვიმარტავს. ავტორის მიერ მრავლად არის მოხმობილი წინასწარუწყებითი ციტატები ძველი აღთქმიდან. ქადაგების ის ნაწილი, რომელშიც არის საუბარი იოანეს მიერ ქრისტეს ნათლისცემაზე, დიდწილად გადმოსცემს ყოვლადწმიდა სამების დოგმატს, ამასთან, უაღრესად ცხოვლად წარმოგვიდგენს იესო ქრისტესა და იოანე ნათლისმცემლის დიალოგს მდინარე იორდანესთან.³ კ. კეკელიძე ჰომილიას ფსევდოეპიგრაფიკულს უწოდებს, მისი აზრით, ნათლისღებისათვის თქმული ქადაგება ანტიარიანული თხზულებაა.⁴

წმ. კირილე იერუსალიმელი († 386 წ.)

წმ. კირილე იერუსალიმელის საკითხავი „ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „ისარებდინ ცანი და გალობდინ ქუეყანად მათჳს, რომელნი-იგი სხურებითა მით ბანად არიან...“ – შეტანილია სინურ (Sin. 32-57-33, 864 წ., 77v-84v) და ტბეთის (A 19, X ს., 192r-194v) მრავალთავებში,⁵ გამოცემულია მხოლოდ სინური ხელნაწერის მიხედვით, სადაც ტექსტი ბოლონაკლულია.⁶ ქადაგების ბერძნულ დედანს წარმოადგენს წმ. კირილე

* კვლევითი ხასიათის შენიშვნები გამომცემელთა შრომების მიხედვით შეადგინა ლაშა ტყეშელაშვილი.

1 „თქმული წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოისი, რომელმან ქადაგა ქრისტე ქართლსა შინა, შობილი წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან“ (A 95, XI ს., 39r-43r).

2 წმ. ნინოს ორივე ჰომილია სამჯერ არის გამოცემული. იხ.: 1. Джанашивили 1898: 80-93; 2. ვახტანგაძე 2012: 10-34; 3. წმ. ნინო 2015: 7-19.

3 ვახტანგაძე 2012: 6-7.

4 კეკელიძე 1980: 482.

5 გაბიაშვილი 2009: 293, № 996; მელიქიშვილი 2012: 466.

6 იხ.: სინური მრავალთავე 1959: 83-89.

იერუსალიმელის III კატეხიზისი (PG 33, col. 425-450).⁷ ამავე საკითხავიდან მცირე ფრაგმენტი სხვა სახელწოდებით გვხვდება კლარჯულ მრავალთავში (A 144, X ს.): „თქმული კურილე ეპისკოპოსისაჲ იერუსალიმელისაჲ, ზაქარიას დადუმებისათჳს“.⁸ ამ შემთხვევაში ძირითადი ტექსტიდან ამოღებულია გარკვეული მონაკვეთი, რომელსაც წინ ერთვის შემდეგი წინადადება: „საყუარელნო, საღმრთონი წიგნნი აღმოიკითხენ და ჰპოვო...“, შემდეგ ზედმიწევნით ზუსტად მისდევს ძირითად ტექსტს და ბერძნულ წყაროს.⁹

წმ. გრიგოლ ნოსელი († 394 წ.)

წმ. გრიგოლ ნოსელის სახელს უკავშირდება ნათლისღების ორი ქადაგება:

1. ფსევდოქროპირის ჰომილია – „ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა იოვანეს მიერ იორდანესა მდინარესა“. Inc.: „კაცნო ღმრთისმოყუარენო და ძმათმოყუარენო, მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ჩემთა...“. ქადაგება ჩართულია უდაბნოს (A 1109, IX ს., 4r-v, ნაკლული), ტბეთისა (A 19, X ს., 186r-190r) და პარხლის (A 95, XI ს., 130v-134v) მრავალთავებში, აგრეთვე, შოროთის მონასტრისა (A 90, XIII ს., 229r-232v) და ორ სხვა გვიანდელ ხელნაწერში (Q 662, XVII ს., 244v-247r; A 1525, 1791 წ., 10r-14v).¹⁰ ჰომილია ქართულ თარგმანში ცნობილია წმ. იოანე ოქროპირის სახელით, თუმცა დღეისთვის მიიჩნევა, რომ იგი ეკუთვნის წმ. გრიგოლ ნოსელს.¹¹

ბერძნულ პატროლოგიაში (PG) შესული საკითხავის ტექსტი და მისი ლათინური თარგმანი გამოცემულია წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის სახელით (PG 10, col. 1177-1189), ამავე ქადაგების შემოკლებული ლათინური თარგმანი წმ. გრიგოლ ანტიოქიელის სახელითაცაა ცნობილი (PG 88, col. 1865-1872).¹² სირიულ თარგმანში (ქართულის მსგავსად) ავტორად წმ. იოანე ოქროპირია მითითებული, თუმცა ჰომილია შეტანილია წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის თხზულებათა კრებულში.¹³

ფსევდოქროპირის ნათლისღების საკითხავის ნაკლული ტექსტი

7 სხენებულ საკითხავთან მიმართებაში თ. მგალობლიშვილს ბერძნული დედნიდან დამოწმებული აქვს ციტატა (იხ.: კლარჯული მრავალთავი 1991: 121).

8 იხ.: კლარჯული მრავალთავი 1991: 438-439.

9 კლარჯული მრავალთავი 1991: 102.

10 გაბიძაშვილი 2009: 295, №1003, №1004.

11 იხ.: კოჭლამაზაშვილი 2009: 342-360.

12 მელიქიშვილი 2012: 407.

13 იხ.: Pitra 1876-1891: 127-133; 381-386.

გამოცემულია უდაბნოს მრავალთავში.¹⁴ საკითხავი სრული სახით გამოაქვეყნა ე. კოჭლამაზაშვილმა ტბეთის მრავალთავში დაცული ტექსტის საფუძველზე, ვარიანტები კი გაუკეთა პარხლისა და უდაბნოს მრავალთავების მიხედვით.¹⁵

აღნიშნული ჰომილიის ტექსტი გამოსაქვეყნებლად მომზადებულია ყველა ზემოთ დასახელებული ექვსი ხელნაწერის მიხედვით. ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარებისას გამოყენებულია PG-ში წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის სახელით შეტანილი ქადაგება (PG 10, col. 1177-1189).

ე. კოჭლამაზაშვილმა ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავი დაუკავშირა წმ. გრიგოლ ნოსელის ქადაგებას „განმარტებაჲ სიტყვსაჲ მის“¹⁶ და ქართული ტექსტების შედარებითი შესწავლის საფუძველზე გამოარკვია, რომ ისინი ერთ ავტორს ეკუთვნის, რადგან ორივე შეიცავს საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს, რომელშიც ერთი და იგივე აზრებია გამოთქმული, ხან სიტყვასიტყვით, ხან პერიფრაზირებული ფორმით. ამასთან, დოგმატური აქცენტებით დატვირთული ფრაზები ერთი და იმავე თანმიმდევრობით მეორდება ფსევდოოქროპირისეულ ჰომილიასა და წმ. გრიგოლ ნოსელის „ესე არს ძე ჩემი“-ს განმარტებაში. საბოლოოდ მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ორივე ჰომილია წმ. გრიგოლ ნოსელს ეკუთვნის.¹⁷

წინამდებარე გამოცემის ავტორის მიერ (დ. ტყეშუაშვილი) შესწავლილია ფსევდოოქროპირის ნათლისღების საკითხავის დოგმატური მიმართულება, რომელშიც ნათლად არის გამოხატული მართლმადიდებლური დოგმატი ძისა და მამის თანამარადიული მყოფობის შესახებ. ჰომილია წარმოთქმული უნდა იყოს არიანული დავების პერიოდში, ვიდრე ნესტორიანულ დავამდე. ამასთან, წმ. გრიგოლ ნოსელის სახელით ცნობილი ქადაგებაც („განმარტებაჲ სიტყვსაჲ მის“) იმავე დოგმატურ სწავლებას მისდევს.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საკითხავებში ყოველადწმიდა მარიამი არც ერთხელ არ იწოდება როგორც „ღმრთისმშობელი“ (Θεοτόκος), არამედ – როგორც „ქალწული მარიამი“ (ἡ Παρθένος Μαρία) ანდა „მარიამი“. ცნობილია, რომ ღვთისმშობელი ნესტორიანულ დავამდე (V ს-მდე) სწორედ „ქალწულ მარიამად“ იწოდებოდა. ეს ფაქტი არის კიდევ ერთი არგუმენტი საკითხავთა ქრონოლოგიის გასარკვევად, კერძოდ, მათ ავტორად წმ. გრიგოლ ნოსელის აღიარებისთვის,¹⁸ ან IV ს-ის ღვთისმეტყველთა ნააზრევისათვის

14 უდაბნოს მრავალთავი 1994: 51-53.

15 იხ.: კოჭლამაზაშვილი 2009: 361-374.

16 გამოც.: კოჭლამაზაშვილი 2002.

17 იხ. ვრცლად: კოჭლამაზაშვილი 2009: 342-360.

18 თუკი ეს ქადაგებები მართლაც წმ. გრიგოლ ნოსელს ეკუთვნის, მაშინ, შესაძლოა, რომ წმ. გრიგოლს ისინი მღვდლობის პერიოდში წარმოეთქვა (ანუ 372

მისაკუთვებლად.¹⁹

2. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისად, განმარტებაჲ სიტყვსად მის, ვითარმედ: «ესე არს ძე ჩემი საყუარელი»“. Inc.: „წყალობისმოყუარებან ამან მამამან გარდამეტებულითა თქუენდა მომართისა წყალობისადთა მომიძლუნა მე ნეშტი პირველ დაშთომილისა სიტყვსად...“ ცნობილია შემდეგი ხელნაწერებით: A 162 (XI ს., 46v-51v); A 1170 (XI-XII ს., 154v-162r); A 182 (XIII ს., 192r-201r); Jer. 23 (XII-XIII ს., 108v-113v); Jer. 38 (XIII-XIV ს., 178v-186v); Jer. 39 (XIII-XIV ს., 1r-6r, თავნაკლული).²⁰ ქადაგება საეკლესიო ტიპიკონით საკითხავადაა დადგენილი ნათლისღების წინა დღეს – 5 იანვარს. იგი მითითებულია როგორც დიდი ეკლესიის („აია-სოფიის“) „სუნაქსარში“, ასევე, საბაწმიდურ ტიპიკონშიც.²¹

დასახელებული ჰომილია, როგორც ითქვა, ფსევდოოქროპირის ნათლისღების ქადაგების გაგრძელებას წარმოადგენს. ბერძნული ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია გრიგოლ ანტიოქიელ ხუცესის სახელით (PG 88, col. 1871-1884). ბერძნულ ენაზე ცნობილი არაა აღნიშნული საკითხავის სრული ვარიანტი, სადაც ავტორად წმ. გრიგოლ ნოსელი იქნებოდა მოხსენიებული, თუმცა ჰომილიის ნოსელისეულობას მოწმობს მისი ციტირება ნაშრომში – De Sacris Parallelis (PG 96, col. 509-512).²² ეს ციტირებული ფრაგმენტი წმ. გრიგოლ ნოსელის დაკარგულ შრომებშიც მეორდება (PG 46, col. 1109-1112), სადაც წყაროდ მითითებულია ზემოთ ნახსენები თხზულება (Sac. parallel. II. pag. 773). ამას გარდა, აღმოჩნდა, რომ დასახელებული ქადაგების ბერძნული დედანი წმ. იოანე ოქროპირის სახელითაცაა ცნობილი: „Τὸν αὐτὸν εἰς τὸ, «Οὐτὸς ἐστὶν ὁ Υἱὸς τοῦ ὁ ἀγαπῶντος, ἐν ᾧ ἐκδόκισα»“ (PG 64, col. 33-38).²³

წმ. იოანე ოქროპირი († 407 წ.)

ქართულად თარგმნილ ჰომილეტიკურ ლიტერატურაში წმ. იოანე ოქროპირის ნათლისღების შემდეგი ქადაგებები მიეკუთვნება:²⁴

წმ. რადგან ორივე ქადაგება PG 88-ში (წმ. გრიგოლ ანტიოქიელის შრომებში) სწორედ გრიგოლ ანტიოქიელი პრესვიტერის სახელითაა შეტანილი: 1. GREGORII PRESBYTERI ANTIOCHENI (PG 88, col. 1865-1866); 2. ΓΡΗΓΟΡΙΟΥ ΠΡΕΣΒΥΤΕΡΟΥ ANTIOXEIAS / GREGORII PRESBYTERI ANTIOCHENI (PG 88, col. 1871-1872) (ტყეუზნავა 2018: 193).

¹⁹ იხ. ვრცლად: ტყეუზნავა 2018: 174-193.

²⁰ აღწერილობა 2009: 211. გამოც.: კოჭლამაზაშვილი 2002: 3-17.

²¹ კოჭლამაზაშვილი 2002: 2.

²² აღწერილობა 2009: 211-212.

²³ ტყეუზნავა 2018: 175.

²⁴ წმ. იოანე ოქროპირის ჰომილიათა თანმიმდევრობას ვიცავთ კ. კეკელიძის მიერ

1. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მთავარეპისკოპოსისა კოსტანტინეპოვლელისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა იოვანესგან იორდანესა მდინარესა“. Inc.: „კეთილ არს ნათელი და პატიოსან და ყოვლითა სარგებელ...“ (A 19, X ს., 167r-169r; A 95, XI ს., 115r-117v; Ath.11, X ს., 32v-34v; A 90, XIII ს., 235v-237v; Q 662, XVII ს., 249r-250v; S 300, 1779 წ., 193v-197v).²⁵

2. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მთავარეპისკოპოსისა კოსტანტინეპოვლელისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა“. Inc.: „დასაბამი სახარებისა სასუფეველისათჳს ცათაჲს არს წმიდა დღეინდელი ესე დღესასწაული...“ (Sin. 32-57-33, 864 წ., 70v-72v; A 1109, IX ს., 3r-v, თავნაკლული; A 19, X ს., 169r-170v; A 95, XI ს., 117r-118v; Ath.11, X ს., 34v-36r; A 90, XIII ს., 237v-239r; S 449, XII-XIV ს., 66v-67v; Q 662, XVII ს., 250v; S 300, 1779 წ., 195r-196v; A 649, 1785 წ., 3r-4v; S 4932, 1791 წ., გვ. 121-123).²⁶

3. „მისივე, იოვანეს თქმული კოსტანტინეპოვლელ ეპისკოპოსისა, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „სიხარულ არს ჩუენ ყოველთათჳს...“ (A 1109, IX ს., 6v-9v, თავნაკლული; A 19, X ს., 170v-171r; A 95, XI ს., 136r-v; Ath.11, X ს., 207r-208r; A 90, XIII ს., 232v-233v; Q 662, XVII ს., 247r-v).²⁷

4. „თქმული მისივე, იოვანე მთავარეპისკოპოსისა კოსტანტინეპოვლელისა, ნათლისღებისათჳს უფლისა“. Inc.: „უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ცხორებაჲ და სიტყუად...“ (A 1109, IX ს., 6r-v, ბოლონაკლული; A 19, X ს., 171v-172r; A 95, XI ს., 136v-137r; A 90, XIII ს., 233v-234r; Q 662, 247v-248r).²⁸

5. „თქმული იოვანე ოქროპირისა ნათლისღებისათჳსვე“. Inc.: „უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, ოდეს-იგი იხილა დედაკაცი სამარიტელი...“ (A 1109, IX ს., 5r-v, ბოლონაკლული; Sin. 32-57-33, 864 წ., 72v-74v; A 19, X ს., 172r-173v; A 95, XI ს., 134v-136r; Ath.11, X ს., 206r-207r; A 90, XIII ს., 234r-235v; Q 662, XVII ს., 248r).²⁹

მოცემული სიის მიხედვით, რომელიც ემყარება ტბეთის მრავალთავს (A 19). იხ. კეკელიძე 1957: 72-73.

25 გაბიაშვილი 2009: 295, №1005; მელიქიშვილი 2012: 405.: ათონის მრავალთავი 1999: 260-263.

26 გაბიაშვილი 2009: 295, №1006; მელიქიშვილი 2012: 406. 1. სინური მრავალთავი 1959: 74-76; 2. უდაბნოს მრავალთავი 1994: 49-50; 3. ათონის მრავალთავი 1999: 263-266.

27 გაბიაშვილი 2009: 297, №1010; მელიქიშვილი 2012: 406. 1. უდაბნოს მრავალთავი 1994: 55; 2. ათონის მრავალთავი 1999: 277-278.

28 გაბიაშვილი 2009: 297, №1013; მელიქიშვილი 2012: 407.: უდაბნოს მრავალთავი 1994: 55-56.

29 გაბიაშვილი 2009: 296, №1009; მელიქიშვილი 2012: 406.: 1. სინური მრავალთავი 1959: 76-79; 2. უდაბნოს მრავალთავი 1994: 53-54.

6. „თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა“. Inc.: „და ვითარცაღა ველნი შუენიერნი და საესენი, ყუავილითა ოქროფერითა შემკულნი...“³⁰ (A 1109, IX ს., 3v-4v, ბოლონაკლული; Sin. 32-57-33, 864 წ., 74v-77v; A 19, X ს., 173r-176r; A 95, XI ს., 118r-120v; Ath.11, X ს., 207r-209r; A 90, XIII ს., 239r-241r; A 649, IX ს., 3v-4v; A 713, VIII-IX ს., 2r-3v; S 449, XII-XIV ს., 4v-6r; S 300, 1779 წ., 196r-197v; S 4932, 1791 წ., გვ. 118-121).³¹

7. „საკითხავი თქუმული მისივე, წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, ღმრთის გამოცხადებისათჳს“. Inc.: „წყაროსა, სახარებისა მიერ მოსწავებულსა, განღებულსა, აქუს წარსადინელი...“ შემონახულია მხოლოდ პარხლის მრავალთავში (A 19, X ს.).³² ბერძნული ტექსტიც წმ. იოანე ოქროპირის სახელით არის ცნობილი: PG 50, col. 805-808.³³

წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი († 446 წ.)

წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელის ნათლისღების საკითხავის ორი ქართული თარგმანი მოგვეპოვება: 1. მრავალთავისეული და 2. თარგმნილი რუსული პროლოგ-სვინაქსარიდან (XVII ს.).³⁴ რუსულიდან თარგმნილ პროლოგ-სვინაქსარში წმ. პროკლეს სახელით შეტანილია ნათლისღების კიდევ ერთი ჰომილია, თუმცა მისი ბერძნული წყაროს დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

1. „თქუმული წმიდისა პროკლე კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „დღეს ქრისტე სოფელსა გამოუჩნდა და სოფელი იგი უშუერი განაშუენა და განაკეთა...“ წარმოადგენს უძველეს ქართულ თარგმანს და ჩართულია ტბეთის (A 19, X ს., 179v-181v), პარხლისა (A 95, XI ს., 124r-126r) და ათონის (Ath.11, X ს., 36r-37v) მრავალთავებში, აგრეთვე, შოროთის მონასტრის

30 დასახელებული ჰომილიის ბერძნულ წყაროდ მ. ვან ესბროკი მიიჩნევს PG 59, col. 489-492-ს (იხ.: მელიქიშვილი 2012: 407), რომელიც, ჩვენი აზრით (ღ. ტყეშელაშვილი), სინამდვილეში წარმოთქმულია იოანე ნათლისმცემლის შესახებ და ქართულ თარგმანთან შედარებით ბევრად შემოკლებული სახისაა.

31 გაბიაშვილი 2009: 296, №1008; მელიქიშვილი 2012: 407. გამოც.: 1. სინური მრავალთავი 1959: 79-82; 2. უდაბნოს მრავალთავი 1994: 50-51.

32 გაბიაშვილი 2009: 433, №1582.

33 მელიქიშვილი 2012: 408.

34 „პროლოგ-სვინაქსარი წარმოადგენს კალენდარული წლის ყოველი დღის (არჩილი: „ათორმეტთა თვეთა“) სხადასხვა ზომის ნოველურ, ან, უკეთ, სვინაქსარულ „საკითხავებს“. სვინაქსარული ჟანრის თხზულება, რომელსაც ეფრემ მცირე „მცირედ-მცირედნი საკითხავების“ სახელით იცნობდა, მოკლედ გადმოსცემს ფაქტობრივ, შინაარსობრივ, მხარეს, მკითხველს არ ამძიმებს ზოგადთეოლოგიური და ფილოსოფიური მსჯელობით“ (რუხაძე 1960: 159).

ხელნაწერში (A 90, XIII ს., 244v). ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია: PG 65, col. 757-764.³⁵

მ. ვან ესბროკი ამ საკითხავს სირიული ენიდან თარგმნილად მიიჩნევს, თუმცა მისი სირიული მოდელი დღეისთვის არ არსებობს. მკვლევრის შეხედულებით, განსხვავება ბერძნულთან შედარებით იმდენად აუხსნელია, რომ იბადება აზრი შუამავალი ტექსტის არსებობის შესახებ. ეს განსხვავება შემდეგია: ბერძნული „ἄσθρῳ“ (PG 65, 757 B) ამ საკითხავის ქართულ თარგმანში ორჯერაა თარგმნილი, როგორც „ძეთა კაცთა“, რაც სირიულ მოდელზე მიანიშნებს.³⁶

ათონის მრავალთავის გამომცემლები თვლიან, რომ „ძე კაცისა“ და სხვა მსგავსი სირიულიდან მომდინარე იდიომები, რომლებიც ბერძნულის მეშვეობით აღმოჩნდნენ სახარების ქართულ თარგმანში, ორგანულნი გახდნენ ქართული ენისთვის. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ზემოხსენებული ჰომილიის მთარგმნელი, რომელიც ცდილობს, მხატვრულად გადმოსცეს ქადაგების შინაარსი, ხმარობს შესიტყვებას – „ძენი კაცთანი“. მათი აზრით, მ. ვან ესბროკის ვარაუდი ამ ორი მაგალითის მიხედვით საკითხავის სირიულიდან მომდინარეობის შესახებ, მართებული არ არის.³⁷

2. „ამასვე დღესა, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა პროკლე კონსტანტინეპოლელ პატრიარქისაჲ, სიტყუაჲ განცხადებისათჳს უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „ქრისტე განცხადნა სოფელსა, ყოველი სოფელი განანათლნა და განაშუენა...“ (A 112, XVII ს., 121v-123r; H 2176, 1786 წ., 254v-259r)³⁸ წარმოადგენს წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელის ნათლისღების საკითხავის მოგვიანო თარგმანს, თარგმნილს რუსული პროლოგ-სვინაქსარიდან. ტ. რუხაძის აზრით, ამ პროლოგ-სვინაქსარის ქართულ ხელნაწერებს არ შემოუნახავთ პირდაპირი ცნობა მთარგმნელზე, მაგრამ მისი თარგმნა ემთხვევა არჩილ მეფის (1647-1713) მთარგმნელობითი მოღვაწეობის პერიოდს, რომელიც იმ ხანებში ყველაზე ახლოს იდგა რუსულ, სლავურ და ქართულ სასულიერო წიგნებთან. სავარაუდოდ, არჩილის ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს ხელნაწერი A 112. ერთი ნუსხა (ქუთ. 66) გელათს ყოფილა დაცული და ამჟამად ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ინახება.³⁹

აღნიშნული ქადაგების ეს მოგვიანო თარგმანი შინაარსობრივად მისდევს უძველეს თარგმანს, თუმცა აკლია დასკვნითი ნაწილი. მის ნაცვლად

35 გაბიძაშვილი 2009: 294, №1000.

36 მელიქიშვილი 2012: 472-473 : იხ. სქ. №458.

37 მელიქიშვილი 2012: 473 : იხ. ათონის მრავალთავი 1999: 135-138.

38 ე. გაბიძაშვილის ბიბლიოგრაფიაში (გაბიძაშვილი 2009) დასახელებული საკითხავი არ არის შეტანილი.

39 რუხაძე 1960: 157-158.

დამატებული აქვს სწავლა-მოდერებითი მონაკვეთი.

3. „ამასვე დღესა, თქუმილი წმიდათა შორის მამისა ჩუენისა პროკლე კოსტანტინეპოლელ პატრიარქისა, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „საყუარელნო, დღეს დღე ესე ჭეშმარიტი ქადაგებისა შემტკობელი...“ (A 112, XVII ს., 123r-125r; H 2176, 1786 წ., 259r-263v; A 220, 1726 წ., 516v-520v). ეს ქადაგებაც რუსული პროლოგ-სვინაქსარიდან არის თარგმნილი,⁴⁰ თუმცა, საეკვოა, ჰომილიის ავტორი მართლაც წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი იყოს, რადგან ბერძნულ პატროლოგიაში მისი ავტორობით ნათლისღების მხოლოდ ერთი ქადაგებაა ცნობილი. შინაარსის მიხედვით, ჰომილიის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს იოანე ნათლისმცემლის შეპასუხებას მაცხოვრის მიმართ, სადაც ხაზგასმულია, რომ სამყაროს შემოქმედი და ძველი აღთქმის მართალთა შორის მოქმედი ღმერთი დღეს იოანესგან ითხოვს ნათლისღებას.

ვესები ალექსანდრიელი (V ს.)

ფსევდოვესები ალექსანდრიელის ნათლისღების ჰომილია ორი უძველესი ქართული თარგმანით არის შემონახული, აქედან ერთი თარგმანი შედის ტბეთისა და პარხლის მრავალთავეებში, ხოლო მეორე – ათონის მრავალთავეში.⁴¹ ბერძნულ ტექსტთან (PG 86, col. 372-380) შედარებით ორსავე ქართულ თარგმანს დამატებული აქვს ექვსი პასაჟი, რაც ცხადყოფს, რომ ისინი ერთი და იმავე, ან ერთმანეთთან ახლოს მდგომი ბერძნული რედაქციის ტექსტებიდან შესრულებულ ორ სხვადასხვა თარგმანს წარმოადგენენ.⁴²

1. „თქუმილი წმიდისა ვესები მთავარებისკოპოსისა ალექსანდრიელისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „ამისთჳს, რამეთუ გუშინ შობისათჳს უფლისა სიტყუად დაგწერეთ, საყუარელნო, და ნათლისღებისათჳსცა ვიწყოთ თქუმად...“. ეს ქართული თარგმანი ცნობილია მხოლოდ ათონის მრავალთავეის ნუსხით (Ath.11, X ს., 209r-212r), იგი ტბეთ-პარხლისეულ საკითხავთან შედარებით შემოკლებული სახისაა.

2. „საკითხავი, თქუმილი ვესები მთავარებისკოპოსისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „აწ, რამეთუ გუშინ გითხართ შობისათჳს ქრისტესისა, საყუარელნო, აწ ნათლისღებისათჳსცა ვიწყოთ თქუმად...“. ეს ტექსტი დაცულია ტბეთისა (A 19, X ს., 198r-202v) და პარხლის (A 95, XI ს., 137v-142r) მრავალთავეებში და ათონურთან შედარებით ადრეულ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს, რასაც ადასტურებს

40 გაბიძაშვილი 2009: 294, №1001.

41 მელიქიშვილი 2012: 474; გაბიძაშვილი 2009: 297, №1012.

42 ათონის მრავალთავეი 1999: 117.

ტბეთ-პარხლისეულ თარგმანში გამოვლენილი აშკარა არმენიზმები. მასში ბერძნული ძმ-ს შესატყვისად გვხვდება „კელითა“, ხოლო τὸ μυστήριον-ის შესატყვისად – „ზრახვა“, რაც, მკვლევართა აზრით, სომხურის გავლენას უნდა მივაწეროთ.⁴³

ევსები ალექსანდრიელის აღნიშნული საკითხავი კიდევ ერთ ქართულ მრავალთავში, კერძოდ, კლარჯულ მრავალთავში დასტურდება, ოღონდ სრულიად განსხვავებული სათაურით: „საკითხავი თქუმული ევსებისი შობისათჳს იოვანჳ, ძისა ელისაბედისა“. კლარჯულ მრავალთავში არსებული ტექსტი როგორც სათაურით, ასევე სტრუქტურითა და შინაარსით, განსხვავებულია დანარჩენი ქართული და PG-ში არსებული რედაქციებისაგან.⁴⁴ მასშიც, მსგავსად ტბეთ-პარხლისეული ჰომილიისა, დასტურდება ტექსტის სომხური წარმომავლობა.⁴⁵

ვსევდოვესების ნათლისღების საკითხავის ქართულ თარგმანებში დადასტურებულია კიდევ ერთი საინტერესო ტექსტობრივი თავისებურება, რომელიც ჰომილიის ტექსტის შინაარსობრივ მხარეს ეხება. ვსევდოვესების ნათლისღების საკითხავის ქართულ თარგმანებში შეიმჩნევა აპოკრიფული შინაარსის შემცველი მონაკვეთები, რომლებიც ბერძნულ დედანში არ დასტურდება. საუბარი გვაქვს იმ აპოკრიფულ სწავლებაზე, რომლის მიხედვით ეშმაკის დაცემის მიზეზი იყო ურჩობა, რადგან თავყვანი არა სცა ღმერთის მიერ შექმნილ ადამიანს.⁴⁶ მსგავსი აზრი გაჟღერებულია „ადამის ცხოვრების“ აპოკრიფში,⁴⁷ იმავე შინაარსის შემცველი ფრაზა ტბეთ-პარხლისეულ თარგმანში გვხვდება ორგზის, ათონურში კი – ერთხელ.⁴⁸

43 იხ.: ქურციკიძე 1973: 61; ჭელიძე 1996: 10-12.

44 კლარჯული მრავალთავი 1991: 79-83; 362-365.

45 ჭელიძე 1996: 26-27.

46 საეკლესიო სწავლებით, ეშმაკი იყო ანგელოზი და ბუნებით კეთილად იყო შექმნილი, რომელსაც დედამიწის დაცვა ჰქონდა მინდობილი, მაგრამ მან თავისუფალი არჩევანით თავი აიმაღლა ღმერთზე, განიზრახა რა მისდამი დაპირისპირება; იგი, პირველი განდგომილი სიკეთისგან, ბოროტებაში ჩავარდა და მასთან თანა-დაცვა მისდამი დაქვემდებარებულ ანგელოსთა უსასრულო სიმრავლე (წმ. იოანე დამასკელი 2000: 345-346).

47 იხ.: ყუბანეიშვილი 1946: 5.

48 იხ.: 1. A: „რად ვყო მე, უბადრუკმან? წყევლმცა არს დღე იგი, რომელსა განიზრახა შექმნად კაცთა ნათესავისაჲ, ამისთჳს გარდამოვვარდი ზეცით, ამისთჳს ესევეითარისა დიდებისაგან უცხო ვიქმენ“ (Ath.11, 213r). TP: „რად ვყო უბადრუკმან აჲმან? წყევლ იყავნ დღჳ იგი, რომელსა იზრახა საქმჳ ნათესავისა მის კაცთაჲსა, რამეთუ მათთჳს გარდამოვვარდი მე ზეცით და მათთჳს ეგდენთა მათ დიდებათაგან უცხო-ვიქმენ“ (A 19, 200v-201r; A 95, 140r). 2. TP: „ნუუკუე ესე არს, რომელი-იგი დასაბამითგან იყო სიტყუად, რომელსა-იგი მე ურჩ ვექმენ და არა თაყუანის-ვეცქმნულსა მისსა და გარდამოვვარდი ქუეყანად? არა მრწამს, თუ იგი არს“ (A 19, 200v; A 95, 139v).

ივლიანე ტაბიელი (V ს.)

„თქმული ივლიანჳ ეპისკოპოსისაჲ ტაბია ქალაქისაჲ ნათლისღებისათჳს ქრისტჳს, ძისა ღმრთისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა, იოვანჳს მიერ“. Inc.: „ყოველთა დაბადებულთა უფალი წიადთაგან მამისათა მოვიდა ჩუენდა და განამდიდრა ყოველი დაბადებული მადლითა მისითა...“ შეტანილია ტბეთის (A 19, X ს., 176r-179v), პარხლისა (A 95, X ს., 120v-124r) და ათონის (Ath.11, XI ს., 37v-39v) მრავალთავებჳში, აგრეთვე, შოროთის მონასტრის ხელნაწერში (A 90, XIII ს., 241r-244v). ქადაგებიდან მცირე ფრაგმენტი შემორჩენილია ხანმეტ მრავალთავებჳში (S 3902, VIII ს., ფრაგმენტი). დასახელებული საკითხავი კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა პარხლის მრავალთავებჳს მიხედვით, ხოლო ხანმეტი მრავალთავებჳს ფრაგმენტი გამოსცა ა. შანიძემ.⁴⁹ წინამდებარე გამოცემაში შესული დასახელებული ჰომილია ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაქვეყნებლად მოამზადა გიორგი ჩიქოვანმა.

ჰომილია მხოლოდ ქართული თარგმანით არის ცნობილი, ხოლო მისი ავტორი ივლიანე, ტაბია ქალაქის ეპისკოპოსი, საქრისტიანო მწერლობაში ცნობილი არაა. კ. კეკელიძის აზრით, ქადაგებას დიოფიზიტური ტენდენცია აქვს: ავტორს სურს დაამტკიცოს, რომ იესო ქრისტე იყო არამარტო ღმერთი, არამედ კაციც და მან „ჭორცნი შეისხნა“; დაწერილი უნდა იყოს ქალკედონის კრების (451 წ.) შემდეგ, V-VI საუკუნეებში.⁵⁰

წმ. სოფრონ იერუსალიმელი († 638 წ.)

წმ. სოფრონ იერუსალიმელის ნათლისღების ჰომილიათა ძველი ქართული თარგმანები შესრულებულია წმ. ევრემ მცირის მიერ. ეს ქადაგებებია:

1. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სოფრონ იერუსალიმელ პატრიარქისაჲ სიტყუად წმიდისათჳს ნათლისღებისა მაცხოვრისა ჩუენისა“. Inc.: „პირველ ჩუენ ბეთლემჳან ზეციერჳსან საღმრთოდ სერობად მიგჳწოდნა მდიდრად განმზადებითა თჳსისა ტაბლისაჲთა...“ (S 1276, XI-XIII ს., 89v-99v; A 1170, XI-XII ს., 172r-186r; A 182, XIII ს., 201r-217r; Jer.23, XII-XIII ს., 122v-131v; Jer.17, XII-XIV ს., 22r-34v; Jer.38, XII-XIV ს., 198r-210v და სხვა).⁵¹

2. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა სოფრონ იერუსალიმელ პატრიარქისაჲ, ნათლისღებისათჳს მაცხოვრისა და ზედაღდგომისათჳს სარკინოზთაჲსა“.

49 გაბიაშვილი 2009: 296, №1007; მელიქიშვილი 2012: 495, სქ. 557; გამოც.: 1. კეკელიძე 1918: 10-15; 2. შანიძე 1927: 155.

50 კეკელიძე 1918: X.

51 გაბიაშვილი 2009: 294, №1002. გამოც.: ბერიშვილი 2014: 26-59.

Inc.: „კუალად ნათელი გამოგზნდების და კუალად მე განენათლდები...“ (S 1276, XI-XIII ს., 99r-106v; H 1347, XI-XII ს., 237r-246v; A 1170, XI-XII ს., 186r-198v; A 182, XIII ს., 217v-231v; Jer.23, XII-XIII ს., 132r-140r; Jer.38, XII-XIV ს., 210v-224r და სხვა).⁵²

VI-VII საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწის, წმინდა სოფრონ იერუსალიმელის ჰომილიების ქართული თარგმანები შესრულებულია დიდი ქართველი წმინდა მამების, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების და ეფრემ მცირის მიერ. ბევრი მთარგმნელის ვინაობა კი ჯერჯერობით უცნობია.

წმინდა სოფრონის თხზულებები შემდეგ დარგებად იყოფა: დოგმატურ-პოლემიკური, დოგმატურ-ჰომილეტიკური, შესხმით-რიტორიკული, ლიტურგიკული, პაგიოგრაფიული და პოეტური.⁵³ წმინდა სოფრონის ავთენტური ეპისტოლეების, ჰომილიების, შესხმითი სიტყვების, ცხოვრებებისა თუ პოეტური თხზულებების რიცხვი ორმოცს აჭარბებს, სხვადასხვა დღესასწაულისთვის განკუთვნილი სხვადასხვა დანიშნულების საღვთისმსახურო ღოცვები კი 900-ზე მეტია. ქართულ ხელნაწერებში მისი ნაშრომების მხოლოდ ნაწილი დასტურდება. უნდა ითქვას, რომ ქართულ თარგმანთა შორის არის ისეთებიც, რომელთა ბერძნული დედანი ჯერჯერობით უცნობია, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა სოფრონ იერუსალიმელის მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის⁵⁴ მიხედვით, წმინდა სოფრონ იერუსალიმელის ნათლისღების დღესასწაულისადმი მიძღვნილ ქადაგებათაგან ერთი სრულია, მეორის მხოლოდ ფრაგმენტი⁵⁵ არსებობს. ქართულ სინამდვილეში კი სოფრონის სახელით კიდევ ერთი ჰომილია არის შემონახული (ქართულ თარგმანში რიგით პირველი სიტყვა). ცხადია, ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ თარგმანს. ამგვარად, წმინდა სოფრონ იერუსალიმელს, სულ მცირე, ნათლისღების სამი ჰომილია ეკუთვნის, რომელთაგან ერთი საყოველთაოდ ცნობილია, მეორე – მხოლოდ ქართულ მწერლობაში დასტურდება, მესამე კი ფრაგმენტულადაა ჩვენამდე მოღწეული (ამ უკანასკნელის ქართული თარგმანი ჯერჯერობით არ დასტურდება).⁵⁶

სოფრონ იერუსალიმელის აღნიშნული ჰომილიები ფრაგმენტულად გამოქვეყნებულია ედიშერ ჭელიძის შრომაში: „ცხოვნების აღმოცისკრება“⁵⁷.

52 გაბიძაშვილი 2009: 291, №992. გამოც.: ბერიშვილი 2014: 60-97.

53 Лapidус 1999: 25.

54 Лapidус 1999: 26-32.

55 Попович 1890: 71-73.

56 ბერიშვილი 2014: 10. ქვემოთ მოტანილი ეს მსჯეობა ამ თავის ბოლომდე გადმოღებულია გიორგი ბერიშვილის ნაშრომიდან (იხ. ბერიშვილის 2014: 16-21).

57 ჭელიძე 2004.

სოფრონ იერუსალიმელის ნათლისღების ჰომილიათა ქართველი მთარგმნელის ვინაობის დადგენის თვალსაზრისით საყურადღებო ცნობები დაცულია ერთ უძველეს ქართულ ხელნაწერში – S 1276-ში, რომელიც სოფრონ იერუსალიმელის ჰომილიების შემცველ ხელნაწერთა შორის უძველესია, იგი ორი სხვადასხვა შინაარსისა და დროის ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი (1-115 ფ.) თარიღდება XI საუკუნით, ხოლო მეორე (117-290 ფ.) – XII-XIII საუკუნეებით. ჩვენთვის საინტერესო ჰომილიები პირველ კრებულშია განთავსებული. იგი, ფაქტობრივად, XI საუკუნის მეორე ნახევრის პოპილარიზაციური კრებულია და 13 თხზულებას შეიცავს. ნათლისღების ჰომილიების მთარგმნელის ვინაობის დადგენასთან დაკავშირებით საყურადღებოა ანდერძ-მინაწერები, რომლებიც შემდეგ ცნობებს გვაწვდიან:

პირველი თხზულების („სატფურებისათჳს იერუსალემისა და ამაღლე-ბისათჳს ცხოველსმოუფელისა ჯუარისა“ 1r-24r) მთარგმნელად კ. კეკელიძე ევრემ მცირეს მიიჩნევს,⁵⁸ შესაძლოა, იმიტომ, რომ ამ საკითხავის ერთ-ერთი ფურცლის კიდეზე მიწერილია: „უფალო, შეიწყალე ევრემ“.⁵⁹

მეორე თხზულების („სიტყუად ამაღლებისათჳს პატიოსნისა ჯუარისა“ 24r-28r) მთარგმნელად „შემოქმედის გულანში“ ევრემია გამოცხადებული.

მესამე თხზულების („იოანე დამასკელის ცხოვრება“ 42r-56r) ანდერძის მიხედვით „მღდელი იოანე“ სწორედ ევრემს უბრძანებს ამ საკითხავის თარგმნას: „ლოცვა-ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, იოანესათჳს მღდელისა და მონაზონისა, რომლისა ბრძანებითა მე, უღირსმან ევრემ მცირემან, ვთარგმნე ბერძულისაგან მცირე ესე ცხოვრებაჲ დიდისა იოანე დამასკელისაჲ“ (56r).

მეექვსე თხზულების (ეპიფანე კვიპრელის „მუცლადღებისათჳს ანნაისა, რაჟამს ეხარა შობაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ“ 56r-64r) მინაწერი ასეთია: „შემინდევით, სხუად საკითხავი მუცლადღებისაჲ ვერ ვპოე, რომელიმცა მეთარგმნა. ესე მე ეფთჳმის თარგმნილად შემომატყუეს, გაჲ მგონია, თეოდორე მრეკალსა ებრძანებინა“ (56r). აკად. ელენე მეტრეველი მიიჩნევს, რომ მთარგმნელი (ანუ ევრემ მცირე) ამ მინაწერს იმ მიზნით აკეთებს, რომ გამოიწიოს საკუთარი თარგმანი სხვისი თარგმანისაგან. მისი აზრით, „ევრემი ბოდიშსაც იხდის იმის გამო, რომ ის იძულებული გამხდარა სხვისი თარგმანისათვის მიემართა, ვინაიდან მას „მუცლადღების სხვა საკითხავი ვერ უპოვია ახალი თარგმანის გასაკეთებლად“.⁶⁰

ამ კრებულის მე-9 თხზულების (წმ. გრიგოლ ნოსელის „შობის საკითხავი“) ბოლოს, ანდერძში, წერია: „უფალო, შეიწყალე მღდელი იოანე, მბრძანებელი

58 კეკელიძე 1957: 67.

59 მეტრეველი 1959: 120.

60 მეტრეველი 1959: 121.

ჩუენდა ამათ საკითხათა თარგმანისად“ (80v). ანდერძის დამწერი არა მხოლოდ ამ უკანასკნელი საკითხავის, არამედ ყველა დანარჩენისასაც, მთარგმნელად აცხადებს თავს.

სწორედ ამ კრებულის XI და XII თხზულებები არის სოფრონ იერუსალიმელის ნათლისღების ჰომილიები. ბოლო, XIII თხზულება კი არის „სიტყუად შესხმისად დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა“ (107-115v), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ეფრემის თარგმანად მიიჩნევა და რომელსაც აქვს შემდეგი ანდერძი: „უფალო, მიეც მადლი იოვანეს მღვდელსა, მბრძანებელსა ამისისა თარგმანებისასა და მე – წმიდად ღოცვად მისი“.⁶¹

საყურადღებოა, რომ ამ კრებულის სამსავე ანდერძში თარგმნის „მბრძანებელი“ არის იოანე მღვდელი, ამიტომაც, ვფიქრობთ, დამაჯერებელია ელენე მეტრეველის მოსაზრება, რომ „მესამე ანდერძი ეხება არა ერთს, უკანასკნელ საკითხავს, არამედ მთელ კრებულს, მითუმეტეს, რომ კრებული სავსებით დასრულებული ჩანს“.⁶²

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირველი ჰომილიის ძირითადი ტექსტის შედარებისას Jer. 17 ხელნაწერის შესაბამის ჰომილიასთან, აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს ტექსტის ბოლოს აქვს მინაწერი ჯვრის ფორმით, ასომთავრულად:

თ
ა
რ
ბ
მ ~ სი
ნ
ი
ლ
ი

სამწუხაროდ, აღნიშნულ მინაწერში ჯვრის ერთ მკლავზე ასოები არ იკითხება, ამიტომაც მთარგმნელის ზუსტი ვინაობის დადგენა ჭირს, თუმცა აღნიშნული მინაწერი სრულად თანხვედრა ვარაუდს იმის შესახებ, რომ შეიძლება ეს ჰომილიები ეფრემის ნათარგმნი იყოს, რადგან ჯვრის იმ მკლავში, სადაც ასოები არ იკითხება, მართლაც შესაძლოა ყოფილიყო

61 მეტრეველი 1959: 123.

62 მეტრეველი 1959: 124.

ასოები: ე, ფ, რ, ე. თანაც ამ ასოების შემთხვევაში ჯერის მკლავები სიმეტრიულად განთავსდებოდა, რაც ხელნაწერისეული ეპოქის ცნობილ მთარგმნელთა შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა. ვფიქრობთ, ეს მინაწერიც მხარს უჭერს ელ. მეტრეველის დასკვნას ამ ჰომილიათა ეფრემის მიერ თარგმნის შესახებ.

იმას, რომ წინამდებარე ჰომილიები ეფრემ მცირის მიერ არის თარგმნილი, შემდეგი არგუმენტები გვაგარაუდებინებს:

1. როგორც აღვნიშნეთ, ეს ჰომილიები დაცულია S 1276 ხელნაწერის პირველ კრებულში. ამ კრებულის რამდენიმე თხზულება კი სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ეფრემ მცირის თარგმანად მიიჩნევა. ამიტომაც, შესაძლოა, რომ „ეფრემს ეს კრებული გამიზნული ჰქონდა როგორც საკუთარ თარგმანთა კრებული“.⁶³

2. ერთ-ერთი საკითხავის ანდერძის მიხედვით, მთარგმნელი ბოდიშსაც კი იხდის, რომ იძულებული გამხდარა სხვისი თარგმანისთვის მიემართა და ცდილობს, გამიჯნოს ის საკუთარისაგან. როგორც ცნობილია, ეს ეფრემისთვის დამახასიათებელი მეთოდია.

3. კრებულის ორი თხზულების ანდერძ-მინაწერებში ფიგურირებს ეფრემის სახელი. ერთ-ერთ მათგანში კი ის მთარგმნელად სახელდება.

4. კრებულის სამსავე ანდერძში „თარგმანის მბრძანებელი“ არის ერთი და იგივე პიროვნება – „იოანე მდღელი“, რომელიც ერთ-ერთ ანდერძში სწორედ ეფრემს უბრძანებს საკითხავის თარგმნას.

5. Jer. 17 ხელნაწერში წმინდა სოფრონის ნათლისღების ერთ ჰომილიას აქვს მინაწერი მთარგმნელის ვინაობის შესახებ. მართალია, მთარგმნელის სახელი გარკვევით არ იკითხება, მაგრამ, დიდი ალბათობით, ის სწორედ ეფრემი უნდა იყოს.

ამრიგად, აკად. ე. მეტრეველის კვლევაზე დაყრდნობით, წმინდა სოფრონ იერუსალიმელის ნათლისღების ჰომილიათა ძველი ქართული თარგმანის შემსრულებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ წმინდა ეფრემ მცირე.

იმავე სტატიაში ე. მეტრეველი გუთავაზობს საკმაოდ მყარ დასაბუთებას იმისა, რომ ჩვენი ყურადღების ქვეშ მოქცეული ერთ-ერთი, ამ ნაშრომში რიგით მეორე, ჰომილია თვითონ ეფრემის ავტოგრაფია. მართლაც, ხელნაწერში მთელი კრებულის მანძილზე დაფიქსირებული ოთხი ხელიდან ბიბლიოგრაფიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნები („შეისწავენისა“ თუ ანდერძ-მინაწერების სახით) მესამე ხელითაა გაკეთებული. მესამე გადამწერი, გარდა იმისა, რომ თვითონ წერს ხელნაწერის დიდ ნაწილს, ამასთანავე, რედაქციას უკეთებს მთელ კრებულს და მთარგმნელისეულ

63 მეტრეველი 1959: 22.

შენიშვნებს „შეისწავენს“ და ანდერძებს უწერს როგორც თავისსავე გადაწერილს, ასევე, სხვათა გადაწერილ სტატიებს. აშკარაა, რომ ამგვარი შენიშვნების მიწერის უფლება შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ კრებულის მთარგმნელ-რედაქტორს, ე. ი. ევრემს, რომლის თარგმნილ ნაშრომებსაც ძირითადად შეიცავს ეს ჰომილეტიკური კრებული.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ, ქ-ნი ელენე მეტრეველის დაკვირვებით, მესამე, ე. ი. ევრემ მცირის ხელს, ძალიან წააგავს პირველი ხელი. „იქამდე დიდია ამ ორ ნაწერში დამახასიათებელ ასოთა მსგავსება (შდრ. **ჭ**, **ჯ**, **ჟ**, **დ**, **უ**, **ვ** და სხვ.), რომ, შესაძლოა, ორივე ერთი პირის ნაწერიც იყოს. ოღონდ ეს პირი წერდა სხვადასხვა კალმით და სხვადასხვა დროს, რაც მის ნაწერში ზოგიერთ განსხვავებას ქმნის“. მაშასადამე, თუ გავიზიარებთ ელენე მეტრეველის დასკვნებს, შესაძლებელია, რომ S 1276 ხელნაწერში დაცული ჩვენთვის საყურადღებო ჰომილიების სახით თვით წმინდა ევრემ მცირის ავტოგრაფთან გვექონდეს საქმე. ყოველ შემთხვევაში, თუ ეს ასე არ არის პირველი ჰომილიის შემთხვევაში, მეორე ჰომილია მაინც, მართლაც, მის ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს, რაც, ცხადია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნულ ჰომილიას. ამიტომაც, უმეტეს შემთხვევაში, კრიტიკული ტექსტის დადგენისას ჩვენ უპირატესობას სწორედ S 1276 ხელნაწერს ვანიჭებთ.

ტექსტისათვის

წინამდებარე ტომში შესულია რვა დიდი ბიზანტიელი საეკლესიო მწერლის ნათლისღების ჰომილიათა ძველი ქართული თარგმანები. ნათლისღების ჰომილიის შემცველ თითოეულ ნუსხასთან მითითებულია ტექსტების გამოცემისთვის გამოყენებული ხელნაწერების ლიტერები.

წმ. ნინო

„ნათლისღებისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „ნათელი არს ღმერთი, ნათელი არს პირველი...“. A – A 19, X ს. (194v-198r); B – A 95, XI ს. (142r-145v).

წმ. კირილე იერუსალიმელი

„ნათლისღებისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „იხარებდინ ცანი და გალობდინ ქუეყანად მათთვის, რომელნი-იგი სხუერებითა მით ბანად არიან...“. A – Sin. 32-57-33, 864 წ. (77v-84v); B – A 19, X ს. (192r-194v).

წმ. გრიგოლ ნოსელი

1. ფსევდოპროპირის ქადაგება „ნათლისღებისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა იოვანეს მიერ იორდანესა მდინარესა“. Inc.: „კაცნო ღმრთისმოყუარენო და ძმათმოყუარენო, მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ჩემთა...“. A – A 19, X ს. (186r-190r); B – A 95, XI ს. (130v-134v); C – A 1109, IX ს. (4r-4v, ნაკლული); D – A 90, XIII ს. (229r-232v); E – Q 662, XVII ს. (244v-247r); F – A 1525, 1791 წ. (10r-14v). გვიანდელი ხელნაწერების თავისებურებებია: Q 662-ში სათაური გადაღებულია და არ იკითხება, ისევე, როგორც ალაგ-ალაგ თავად ტექსტი. ტექსტში გადამწერი „ა“-ს მაგივრად წერს ქარაგმას და „დ“-ს. ასეთ შემთხვევებს ვასწორებთ სქოლიოში ჩამოტანის გარეშე.

XVIII ს-ის ნუსხაში, A 1525-ში, გადამწერი „ვ“-ს მაგივრად ყველგან წერს „ვი“-ს, „ვ“-ს ნაცვლად – ხშირ შემთხვევაში „ხ“-ს, ხოლო „უა“ და „უე“ კომპლექსის ადგილას წერია „ვა“ და „ვე“. ეს ფორმები ტექსტში გავასწორეთ სქოლიოში ჩამოტანის გარეშე. „იოვანე“ და „იოანე“, „ანგელოზი“ და „ანგელოსი“, „უკუეთუს“ ნაცვლად – „უკეთუ“, „თქუას“ ნაცვლად – „სთქუა“. A 1525-ის ფორმებში: იოანე, ანგელოსი, უკეთი - ასევე არ ჩამოგვიტანია სქოლიოში. Q 662-ში და A 1525-ში სიტყვას ხშირად აკლია „დ“. არც ეს აღგვინიშნავს სქოლიოში.

2. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისად, განმარტებად სიტყვსად მის, ვითარმედ: «ესე არს ძე ჩემი საყუარელი»“.

Inc.: „წყალობისმოყუარებამან ამან მამამან, გარდამეტებულთა თქუნდა მომართისა წყალობისათა, მომიძღუნა მე ნეშტი პირველდაშთომილისა სიტყვსაჲ...“: A – A 162, XI ს. (46v-51v); B – A 1170, XI-XII ს. (154v-162r).

წმ. იოანე ოქროპირი

1. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მთავარეპისკოპოსისა კოსტანტინეპოვლელისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა იოვანესგან იორდანესა მდინარესა“. Inc.: „კეთილ არს ნათელი და პატიოსან და ყოვლითა სარგებელ...“: A – A 19, X ს. (167r-169r); B – A 95, XI ს. (115r-117v); C – Ath.11, X ს. (32v-34v); D – A 90, XIII ს. (235v-237v); E – Q 662, XVII ს. (249r-250v).

2. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მთავარეპისკოპოსისაჲ კოსტანტინეპოვლელისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა“. Inc.: „დასაბამი სახარებისაჲ სასუფეველისათჳს ცათაჲსა არს წმიდაჲ დღეინდელი ესე დღესასწაული...“: A – Sin. 32-57-33, 864 წ. (70v-72v); B – A 19, X ს. (169r-170v); C – A 95, XI ს. (117r-118v); D – Ath.11, X ს. (34v-36r); E – A 1109, IX ს. (3r-v, თავნაკლული); F – A 90, XIII ს. (237v-239r); G – Q 662, XVII ს. (250v, ბოლონაკლული).

3. „თქუმული მისივე, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა“. Inc.: „და ვითარცა ველნი შუენიერნი და საესენი, ყუავილითა ოქროფერითა შემკულნი...“: A – Sin. 32-57-33, 864 წ. (74v-77v); B – A 19, X ს. (173r-176r); C – A 95, XI ს. (118r-120v); D – Ath.11, X ს. (207r-209r); E – A 1109, IX ს. (3v-4v, ბოლონაკლული); F – A 90, XIII ს. (239r-241r).

4. „თქუმული იოვანე ოქროპირისაჲ ნათლისღებისათჳსვე“. Inc.: „უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, ოდეს-იგი იხილა დედაკაცი სამართელი...“: A – Sin. 32-57-33, 864 წ. (72v-74v); B – A 19, X ს. (172r-173v); C – A 95, XI ს. (134v-136r); D – Ath.11, X ს. (206r-207r); E – A 1109, IX ს. (5r-v, ბოლონაკლული); F – A 90, XIII ს. (234r-235v); G – Q 662, XVII ს. (248r).

5. „მისივე, იოვანეს თქუმული კოსტანტინეპოვლელ ეპისკოპოსისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „სიხარულ არს ჩუენ ყოველთათჳს...“. გამოყენებულ ხელნაწერთა ლიტერებია: A – A 19, X ს. (170v-171r); B – A 95, XI ს. (136r-v); C – Ath.11, X ს. (207r-208r); D – A 1109, IX ს. (6v-9v, თავნაკლული); E – A 90, XIII ს. (232v-233v); F – Q 662, XVII ს. (247r-v).

6. „თქუმული მისივე, იოვანე მთავარეპისკოპოსისაჲ კოსტანტინეპოვლელისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა“. Inc.: „უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ცხორებაჲ და სიტყუაჲ...“: A – A 19, X ს. (171v-172r); B – A 95, XI ს. (136v-137r); C – A 1109, IX ს. (6r-v, ბოლონაკლული); D – A 90, XIII ს. (233v-234r); E – Q 662, XVII ს. (247v-248r).

7. „საკითხავი თქუმული მისივე, წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, ღმრთის გამოცხადებისათჳს“. Inc.: „წყაროსა, სახარებისა მიერ მოსწავებულსა, განღებულსა, აქჳს წარსადინელი...“. შემონახულია მხოლოდ პარხლის მრავალთაგში: A 19, X ს. (190r-192r). ტექსტი შედარებულია ბერძნულ წყაროსთან: PG 50, col. 805-808.

წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი

1. „თქუმული წმიდისა პროკლე კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „ღღეს ქრისტე სოფელსა გამოუჩნდა და სოფელი იგი უშუერი განაშუენა და განაკეთა...“ : A – A 19, X ს. (179v-181v); B – A 95, XI ს. (124r-126r); C – Ath.11, X ს. (36r-37v); D – A 90, XIII ს. (244v, ნაკლული). ტექსტი შედარებულია ბერძნულ წყაროსთან: PG 65, col. 757-764.

2. წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელის ნათლისღების იგივე ჰომილია ცნობილია გვიანდელი თარგმანის სახითაც და შედის არჩილ მეფის მიერ რუსულიდან თარგნილ პროლოგ-სვინაქსარში: „ამასვე ღღესა, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა პროკლე კონსტანტინეპოლელ პატრიარქისაჲ სიტყუაჲ განცხადებისათჳს უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „ქრისტე განცხადნა სოფელსა, ყოველი სოფელი განანათლნა და განაშუენა...“: A – A 112, XVII ს. (121v-123r); B – H 2176, 1785 წ. (254v-259r).

3. არჩილ მეფის მიერ რუსულიდან თარგნილ პროლოგ-სვინაქსარში ნათლისღების საკითხავად შედის მეორე ქადაგებაც და ისიც წმ. პროკლეს სახელით დასტურდება: „ამასვე ღღესა, თქუმული წმიდათა შორის მამისა ჩუენისა პროკლე კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „საყუარელნო, ღღეს - ღღე ესე ჭეშმარიტი ქადაგებისა შემტკობელი, ხოლო ვიტყჳ სატყუასა პავლე მოციქულისასა...“: A – A 112, XVII ს. (123r-125r); B – H 2176, 1785 წ. (259r-263v); C – A 220, 1726 წ. (516v-520v).

ხელნაწერთა თავისებურებები: A 112-ში და H 2176-ში გადამწერი ა-ს მაგივრად ხშირად იყენებს დ-ს და ქარაგმას, ხოლო A 220-ში დაქარაგმებულ სიტყვას, უმეტეს შემთხვევაში, არ ახლავს ქარაგმის ნიშანი. H 2176-ში და A 220-ში „უა“ და „უე“ კომპლექსის ადგილას წერია „ვა“ და „ვე“. მსგავს ვარიანტულ სწორებებს სქოლიოში არ ვუთითებთ და თანამედროვე ფორმების ნაცვლად გტოვებთ ძველი თარგმანის დამახასიათებელ ფორმებს.

ფსევდოვესები ალექსანდრიელი

მოიპოვება ამ ბერძნული ჰომილიის ორი თარგმანი:

1. „თქმული წმიდისა ევსები მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „ამისთჳს, რამეთუ გუშინ შობისათჳს უფლისა სიტყუად დავწერეთ, საყუარელნო, და ნათლისღებისათჳსცა ვიწყოთ თქუმად...“ შემონახულია მხოლოდ ათონის მრავალთავში: Ath.11, X ს. (211r-214r).

2. „საკითხავი, თქმული ევსები მთავარეპისკოპოსისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. Inc.: „აწ, რამეთუ გუშინ გითხართ შობისათჳს ქრისტესისა, საყუარელნო, აწ ნათლისღებისათჳსცა ვიწყოთ თქუმად...“: A – A 19, X ს. (198r-202v); B – A 95, XI ს. (137v-142r).

ტექსტები შედარებულია ბერძნულ წყაროსთან: PG 86, col. 372-380. როდესაც ევსები ალექსანდრიელის პომილიის ქართულ თარგმანებში დასტურდება ბერძნული ტექსტისგან განსხვავებული წაკითხვა, ბერძნულ წაკითხვასთან ერთად მოგვაქვს მისი ჩვენეული თარგმანი ან მოგვაქვს იმ სახით, როგორითაც დასტურდება ის ქადაგების მეორე ქართულ თარგმანში. მრავალთავისეულ თარგმანს ვსვამთ ბრჭყალებში („“) და ვწერთ მას ბერძნული ტექსტის პარალელურად. როდესაც ბერძნული ტექსტის რომელიმე ადგილი არც ერთ თარგმანში არაა სწორად გადმოცემული ან საერთოდ არ დასტურდება, მაშინ ვიძლევიტ მხოლოდ ბერძნულ წაკითხვასა და მის ჩვენეულ თარგმანს. არის შემთხვევები, როდესაც მრავალთავისეულ და ჩვენეულ თარგმანს გვერდიგვერდ ვათავსებთ აზრის შესავსებად და გასაგებად, ასეთ შემთხვევაში ჩვენეულ თარგმანს ვსვამთ კავებში ([]).

ივლიანე ტაბიელი

„ნათლისღებისათჳს ქრისტეს, ძისა ღმრთისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა იოვანწს მიერ“. Inc.: „ყოველთა დაბადებულთა უფალი წიადთაგან მამისათა მოვიდა ჩუენდა და განამდიდრა ყოველი დაბადებული მადლითა მისითა...“: A – A 19, X ს. (176r-179v); B – A 95, XI ს. (120v-124r); C – Ath.11, X ს. (37v-39v); D – A 90, XIII ს. (241r-244v).

წმ. სოფრონ იერუსალიმელი

1. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სოფრონ იერუსალიმელ პატრიარქისა სიტყუად წმიდისათჳს ნათლისღებისა მაცხოვრისა ჩუენისა“. Inc.: „პირველ ჩუენ ბეთლემთან ზეციერმან საღმრთოდ სერობად მიგვწოდნა მდიდრად განმზადებითა თჳსისა ტაბლისაჲთა...“: A – S 1276, XI-XIII ს. (89v-99v); B – A 1170, XI-XII ს. (172r-186r); C – Jer. 23, XII-XIII ს. (122v-131v); D – Jer. 17, XII-XIV ს. (22r-34v); E – A 182, XIII ს. (201r-217r); F – Jer. 38, XII-XIV ს. (198r-210v).

2. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა სოფრონ იერუსალიმელ პატრიარქისა,

ნათლისდებისათვის მაცხოვრისა და ზედააღდგომისათვის სარკინოზთაჲსა“. Inc.: „კუალად ნათელი გამოგუჩნდების და კუალად მე განვნათლდები...“: A – S 1276, XI-XIII ს. (99r-106v); B – H 1347, XI-XII ს. (237r-246v); C – A 1170, XI-XII ს. (186r-198v); D – Jer. 23, XII-XIII ს. (132r-140r); E – Jer. 38, XII-XIV ს. (210v-224r); F – A 182, XIII ს. (217v-231v); G – A 394, XVIII ს.; H – H 2350, XVIII ს.; I – Q 103 (1749 წ.); J – Q 127, XVIII ს.; K – Q 485 (1766 წ.); L – S 139, XVIII-XIX ს.

ბერძნულთან (PG) შედარებული ტექსტები დედნის შესაბამისად დაყოფილია პარაგრაფებად. ტექსტებში მითითებულია ხელნაწერთა პაგინაცია.

ტექსტებს ახლავს კრიტიკული აპარატი. ქართულ ხელნაწერთა ვარიანტულ სხვაობებს გამოვეყოფთ არაბული ციფრებით – 1, 2, 3, და ა.შ. ერთი ვარსკვლავით (*) აღვნიშნავთ ტექსტებში დადასტურებულ ბიბლიურ ციტაციას, წრიით (°) – ტექსტებთან დაკავშირებულ ჩვენეულ შენიშვნებს, ხოლო ორი ვარსკვლავით (**) ვუთითებთ ბერძნულ ორიგინალთან მიმართებით არსებულ განსხვავებას.

add. აბრევიატურით აღვნიშნავთ, ბერძნულთან შედარებით ქართულ თარგმანში არსებულ სიტყვის ან სიტყვათა მატებას. om. აბრევიატურა კი მიანიშნებს ქართულ თარგმანში გამოტოვებულ ბერძნულ წაკითხვას. ამგვარ მონაკვეთებს გამოვეყოფთ Iber. ნიშნით. ზოგჯერ ტექსტებში ქართულ ვარიანტულ სხვაობებს დართული აქვს ბერძნული შესატყვისი, რითაც მივანიშნებთ, თუ რის საფუძველზე ავირჩიეთ ძირითად ტექსტში დატოვებული წაკითხვა. ბერძნული ტექსტიდან მოტანილ სიტყვებს და წინადადებებს აღვნიშნავთ Gr. ნიშნით, რომელსაც ახლავს ბერძნული გამოცემის ტომი, გვერდი და სვეტის ნომერი. ტექსტებში კავებში ([]) ვსვამთ ქართულ თარგმანებში არსებულ იმ მოცულობით მონაკვეთებს, რომლებიც ბერძნულ დედანში არ დასტურდება.

წინამდებარე კრებულში ადრე გამოცემული ტექსტები მითითებულია როგორც „გამოც.“ გამომცემლის გვარის ან კრებულის აღნიშვნით, ხოლო ახალ გამოცემასთან მითითებულია „გამომც.“ გვარის დამოწმებით.

საკითხავი,¹ თქუელი წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოძის
ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა²

კირი//ნავთი – ἄσφαλτον πίττω, ἦ: „ნოვეს კილობანი იგი გარჯთ კირითა განეკრძალა“ (პროკ. 1, III, 150,11); „შენ ნოვე კილობანი მოჰფისა ნავთითა“ (პროკ. 2, III, 160,13).

კმა-ყოფა – დაკმაყოფილება, საკმარისობა; ἀρκέω: „ესე არა-მე კმა-იყო-ა“ (პროკ. 1, III, 151,5); „ვითარმედ არა კმა-იყო“ (პროკ. 2, III, 161,1).

კუალი – ნაბიჯი, ნაკვალევი: „და იორდანსკ უკუნ-იქსა კუალსა“ (ეგს. 2, II, 190,9); „მე შენისა კუალადობისა კუალად მინებს“ (პროკ. 3, II, 166, 15-16).

კუარცხლებეკი – ფეხის დასაყრდენი: „ცანი საყდარ არიან მისა და ქუეყანად – კუარცხლებეკ ფერჯთა მისთა“ (ეგს. 2, III, 194, 3-4); „ცად მისი საყდარი არს, ხოლო ქუეყანად – კუარცხლებეკი ფერჯთა მისთად“ (ეგს. 1, III, 179, 6-7); ὑποπιδίον, τό: „ამისთჳსვე კუარცხლებეკად ესმა უფლისა განკაცებად“ (ოქრ. 7, I, 139,15).

კმოობა//კუმოლვა – აკვამლება: „მთანი კმოლვედ“ (ეგს. 2, II, 189,5); „მთანი კუმოლვიან“ (ეგს. 1, II, 176,17). „რომლისა მთა ვერ დამთმენელი კმოლდინ“ (პროკ. 3, II, 167, 16-17).

კუმოლვა – იხ. კმოობა.

ლ

ლიტონი//უნდოე შეურაცხი – უბრალო, მარტივი; ψιλό: „და ჰგონებდა, ვითარმედ ყრმაე არს ლიტონი...“ (ეგს. 1, III, 178,13); „ეგონა, ვითარცა ყრმაე რად უნდოე შეურაცხი“ (ეგს. 2, III, 192, 9-10). λιτό: „ვითარცა ლიტონი და უცხოე მოხუედ“ (ოქრ. 7, III, 142, 11-12).

მ

მადლი – წყალობა, საღმრთო საჩუქარი; χάρις, ἦ: „არამედ მადლი იგი მისი მარადის დადგრომილ არს ჩუენ თანა“ (ფს. ოქრ., 53,8); „...არამედ ნათლისღებისა მის მადლსა მოგუენიჭებს“ (ფს.ოქრ., I, 54,6); „შენ მიერ მოღებითა საკვრველებისა მადლისადთა“ (ფს. ოქრ., II, 59, 3-4); ჯერ-არს ჩემდა აღსრულებად შუელი და მერმე მიცემად მადლი (ფს.ოქრ., III, 66,14); „ნათელ-ვილო, რადთა მადლი ვჳადაგო“ (ოქრ. 7, III, 144, 7-8); „...მაცხოვრისა იგი მადლი განიყვეს“ (პროკ. 1, I, 146,5); „...მაცხოვარებისა მადლსა განიყოფენ“ (პროკ. 2, I, 158,5). **მადლი//საღმრთო ნიჭი** – χάρις, ἦ: „რადთამცა წყალთაცა მათ სინმიდისა იგი მადლი მისცა“ (პროკ. 1, III, 151,13); „რადთა წყლითა საღმრთო ნიჭი მოგუენიჭოს“ (პროკ. 2, III, 161,6).

მანქანებად//ველოვნებად – მოხერხება; ἐπίνοια, ἦ: „ან იხილე, საყუარელო, ბოროტად მანქანებად იგი მზაკუეარისად“ (ეგს. 2, V, 201,3); „და ან იხილე ბოროტისად ბოროტი ველოვნებად“ (ეგს. 1, V, 183,1).

მასვე უამსა – იხ. მეყსეულად.

მაცთური – τράννος, ὅ: „ნუკუე გულისჯმა-ყოს მაცთურმან მან და ივლტოდის“ (ფს. ოქრ., III, 64, 9-10).

მართლ-უკუნ-ქცევა – უკან გაბრუნება: „რომლისაგან იორდანე კდემული მართლ-უკუნ-იქსა“ (პროკ. 3, II, 167, 12-13).

მღვწეარქ – აკვამლეული: „და სანთელი ესე მღვწეარე წადიერ არს ზეთისა მაგისგან წყალობისაგსა“ (ევს. 2, II, 190,1).

მეკეცქ/შემოქმედი – თიხის ჭურჭლის ოსტატი; κερამεύς, ὅ: „თიჯასა უჯმს მეკეცე შესაქმედ“ (ევს. 1, II, 177,3); „აწ მიწისაგანსა ამას უჯმს მოძიებად შემოქმედისაგან“ (ევს. 2, II, 189, 8-9).

მეორედ შობად – ἀναγεννησις, ἥ: „მოვედით და ვიხილოთ ჩუენისა ამის მეორედ შობისა ხატი“ (ფს.ოქრ., I, 54,7).

მეოტ-ქმნა – განდევნა, გაქცევა: „რადთა არა მეოტ იქმნას მტერი“ (ევს. 1, VI, 185,11). იხ. ოტება.

მეფე – იხ. შარაგანდელი.

მეცსეულად/მასვე ჟამსა – მაშინვე, უეცრად, საჩქაროდ; εὐθὺς: „და მეცსეულად წარიყვანა იგი და მოვიდა წმიდად ქალაქად“ (ევს. 1, VI, 185, 2-3); „და მასვე ჟამსა წარმოიყვანა იგი და მოვიდა წმიდასა მას ქალაქსა“ (ევს. 2, VI, 204, 12-13). „მეცსეულად იხილნა ცანი განხმულნი“ (პროკ. 3, IV, 173,9).

მთხრებლი – ორმო, თხრილი: „და შთავჯადე იგი მთხრებლსა მას წარსაწყმედელი-სასა“ (ევს. 2, V, 201,12); „და შთავიყვანე იგი მთხრებლსა მას წარსაწყმედელსა“ (ევს. 1, V,183, 7-8).

მიგება – იხ. პირის დაყოფა.

მიდრეკა – გადახრა, განმორება: „უკუეთუ ესე კაცი არს, მისდრკეს ქუეყანისა შუებასა“ (ევს. 1, V, 183,10).

მიმადლებად/მინიჭებად – ჩუქება; χαρίζεσθαι: „შემოქმედსა მაგას ყოველთასა აღუთქუამ შექმნულთა მისთა მიმადლებად მას“ (ევს. 2, V, 200,6-7); „შემოქმედსა ყოველთა დაბადებულთასა აღუთქუამ მინიჭებად“ (ევს. 1, V, 182, 15-16). χαρίζεσθαι: „ჯერ-არს ჩემდა ნათლისღებად ესე აწ და მერმე, ამისა შემდგომად, – ერთარსებისა სამებისა სახელითა ნათლისღებად ყოველთა კაცთა მიმადლებად“ (ფს.ოქრ., III, 68,2-3).

მომადლებად – იხ. ნიჭი.

მკვრცხლი – სწრაფი, მკვირცხლი: „მუნ მოგუნი მკვრცხლნი ვილოდეს“ (პროკ. 2, I, 159,1).

მკუდარი – იხ. მომწყდარი.

მობაძაობა – იხ. ზრზენა.

მოკუდინება – იხ. წარწყმედა.

მომწყდარი/მკუდარი – მოკლული, გარდაცვლილი; θανόντας, ὅ: „აწ წელითა ნათლისღებამან მომწყდარნი ცხოველ-ჰყუნა“ (პროკ. 2, III, 160,9-10); „ამან წყალმან ნათლისღებისამან მკუდარნი განაცხოველნა“ (პროკ. 1, III, 150,6-7).

მონაგები – იხ. საფასე.

მონიჭება (მინიჭება) – მიცემა, ჩუქება, ბოძება; δῶρον: „და ყოველთა ცის კიდეთა განწმედა და წსნად მოგუანიჭა“ (ევს. 2, I, 186,6-7); „და სოფელსა განწმედა და გამოწსნად მონიჭა“ (ევს. 1, I, 175,6); „...არამედ ნათლისღებისა მის მადლსა მოგუანიჭებს“ (ფს.ოქრ., I, 54,6); χαρίζομαι: „იოვანე მას მინიჭა სიტყუად და ნუგეშინის-ვიცე თავსა“ (ევს. 1, IV, 181, 2-3). იხ. მიმალღება.

მორკინალი – შემბმელი: „რომლისა თანა იაკობ მრკინალი კურთხეულ იქმნა“ (პროკ. 3, II, 168,4-5).

მოსრვა – ამონყვეტა: „...ფრიალნი წარმართნი მოსრნა“ (პროკ. 3, II, 169,8).

მოსწავებელი – მინიშნებული, ნასწავლი; διδάγμα, τό: „წყაროსა, სახარებისა მიერ მოსწავებულსა, განღებულსა, აქუს წარსადინელი“ (ოქრ. 7, I, 139,1).

მოტყუება – აქ: მოსწავება; μολύω: „შენ გაბრიელის მიერ მოეტყუე“ (ოქრ. 7, II, 140,15).

მოფისვა – იხ. განკრძალვა.

მოღება – მიღება, აღება; δαψινεύω: „გლახაკი იგი მდიდრისაგან მოიღებნ...“ (ფს.ოქრ., II, 56,8-9). იხ. შეწყნარება, წარმდებ-ქმნა.

მოძიებად – იხ. შესაქმე.

მოწამქ – მოწმე; μαρτυράω: „ხოლო იოვანე, ვითარცა უფლისა მოწამემან ღირსმან, თქემულნი ესე მისამიმართნი არად შეპრაცხნა“ (ოქრ. 7, II, 140,20-21).

მოხელდა – იხ. წამის-ყოფად.

მპყრობელი – მფლობელი; κρατῶν, ὁ: „ვმა-ყო მპყრობელისა მიმართ უფლისა“ (ოქრ. 7, III, 142,7-8).

მრავალგულარძნილი//გონება გულარძნილი – მეტად ავი, მზაკვარი: „ხოლო ვეშაპად თქუა მრავალგულარძნილი ეშმაკი“ (ევს. 1, I, 175,15); „ვეშაპად თქუა გონება გულარძნილი ეშმაკი“ (ევს. 2, I, 187,7).

მსახურებად – διακονία, ἡ: „ისწავე მსახურებად, რომლისათვის-იგი მოსრულ ვარ“ (ფს.ოქრ., III, 64,7-8); „ვითარცა ღმერთსა ღმრთისაგანსა ღირსად მსახურებად შეწირეს“ (პროკ. 1, I, 147,8-9); „ვითარცა ღმერთსა შუქნიერებით მსახურებასა შესწირვიდეს“ (პროკ. 2, I, 159,2-3).

მსახური – λειτουργία, ἡ: „სადა არიან სერაბინნი, ექუს-ექუს ფრთენი მსახურნი“ (ოქრ. 7, III, 142,15-16).

მტკ – მოზიარე: „ესე არს ძქ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; ძქ ჩემი, ბუნების მტე არსებითა და არა უცხო ჩემგან“ (ფს.ოქრ., IV, 71, 6-7).

მუნქესევე – მაშინვე, მყისვე: „არა მუნქესევე დამწუასა?“ (პროკ. 1, V, 154,1).

მლაღადებელი – მქადაგებელი: „ხოლო ვიტყვ სატყუასა პავლე მოციქულისასა, მლაღადებელი თქუენდა მომართ“ (პროკ. 3, I, 165,2).

მყედროდ – მშვიდი, წყნარი; εὐπειθής (კეთილმორჩილი): „რამეთუ იყო იგი მოშიშ და მყედრო...“ (ფს.ოქრ., III, 69,6-7).

მშენვიერი/საშუმინველი – სულდგმული: „და გამოსცა ქუენარმაგალი, მშენვიერი

ცხოველი თესლად-თესლადი“ (ევს. 2, VI, 204,1-2); „პრქუა ქუეყანასა გამოყვანებად ქუენარმავალი **საშუმინველი** ცხოველი მსგავსად ნათესავისა“ (ევს. 1, VI, 184,12-13).

მჩუარი – ტილო; ძესმძ, ო: „მუნ შეხვეს **მჩურისა** სახუეველითა“ (პროკ. 2, 159,4).

მცნებად – εντολή, ო: „ხოლო ცხოველ იქმნებიან სულისა მიერ და მადლისა და **მცნებითა** სიხარულით“ (ოქრ. 7, I, 139,2-3). იხ. განჩინებად.

მხოლოდშობილი – ὁμοιούσις: „ესე არს ძქ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-
ვიყავ... ძქ ჩემი, **მხოლოდშობილი** უხილავებრ“ (ფს.ოქრ., IV, 71,6-7); μονογενής, ო: „დღეს
გამოგვჩნდა **მხოლოდშობილი** ძქ ღმრთისად“ (პროკ. 1, V, 155,12).

მჭდომი – მონინალმდევე, საწინალმდევო: „უკუეთუ იგი იყოს, **მჭდომად** ჩემდა
მოსრულ არს“ (ევს. 2, IV, 196,9); „მიუტევე **მჭდომი** იგი ნებასა თვსსა“ (ფს.ოქრ., III, 65,9);
ἐναντίος, ო: „არამედ ორნივე ესე, **მჭდომნი** ურთიერთას, ერთად შეჰკრიბენ“ (ფს.ოქრ., II,
59,8-9).

6

ნავთი – იხ. კირი.

ნათესავი – იხ. ბუნებად.

ნათლისღებად – იხ. საბანელი.

ნები – ხელის გული: „ან ვითარ თავს-იდვას მზემან ხედვად, დადებად **ნები** მონისად
თავსა ზედა უფლისასა“ (პროკ. 1, V, 153,11-154-1); „დავღვა **ნები** ჩემი თხემსა ზედა ცაათა
სრულმყოფელისა“ (პროკ. 3, IV, 173,6-7).

ნიში – სასწაული, ნიშანი; τέραξ, ო: „...მაშინ იწყო ყოფად სასწაულებისა და **ნიშებისა**
შორის ერსა მას“ (ევს. 2, I, 186,10-11).

ნიჭი/მომადღებად – საჩუქარი, ძღვენი; χαρίζμενος: „უკუეთუ არა, ეგონოს სოფელსა,
ვითარმედ **ნიჭით** ჩემთვის ამას იტყვს“ (ევს. 1, II, 177,11-12); „რადთა არა ეგონოს სოფელსა,
ვითარმედ **მომადღებისა** ჩემისათვს სოქუ ესე“ (ევს. 2, II, 191,3-4). δαρεά, ო: „რადთა ჩუენ
მოგუეცეს სახედ ნათლისღებისა მის **ნიჭი**“ (ევს. 2, I, 187,3-4).

ნუგეზინისმცემელი – παράκλητος, ო: „და **ნუგეზინისმცემელი** იგი მოვიდეს“ (ევს. 2, II,
191,5); „და **ნუგეზინისმცემელი** მოვიდეს“ (ევს. 1, II, 177,13).

ო

ორგულება – ორგულება, ეჭვიანობა; πλάνη (გზას ვცდები): „რადთამცა არა
ორგულებდეს“ (პროკ. 1, VI, 156,8).

ოტება//ღევნულ-ყოფა//მეოტ-ქმნა – განდევნა, გაქცევა; φεύγειν: „არამედ ერთითა
სიტყვთა **მაოტოს** მე“ (ევს. 2, IV, 198,10); „არამედ ერთითა სიტყვთა **ღევნულ მყოს** მე
განცდისაგან“ (ევს. 2, IV, 181,19); „არამედ დაითარა ღმრთეებად იგი, რადთა არა **აოტოს**
მტერი იგი“ (ევს. 2, VI, 205,10); „არამედ დაითარა ღმრთეებად, რადთა არა **მეოტ იქმნას**

მტერი“ (ეგს. 1, VI, 185,10-11).

პ

პირველი – იხ. წინასწრობილი.

პალატი – სასახლე: „რადთა შეიყვანნეს **პალატსა** შინა ცხოვარნი“ (პროკ. 3, I, 166,2).

პირის დაყოფა//მიგება – დახშვა; ფიქრთ: „...და **დაუყო მას პირი** და თქუა“ (ეგს. 2, V, 202,6); „...და **მიუყო მას** და თქუა“ (ეგს. 1, V, 183,14-15).

რ

რულვა/წოლა – თვლემა, ძილი: „არამედ იხილა იგი, რამეთუ **პრულინ** და დაიძინის... არა **პრულინ**, არცა დაიძინის მცველმან ისრაჟლისამან“ (ეგს. 2, III, 194,6-9); „იხილა იგი **მწოლარე** და დაძინებული და ვერ ცნა, ვითარმედ მისთვის იტყოდა ღავით: არა **მიერულოს**, არცა დაიძინოს მცველმან ისრაჟლისამან“ (ეგს. 1, III, 179,10-11).

რღუნად – იხ. წელითრღუნად.

ს

საბანელი/ნათლისღებად – სანათლაღი, აბანო; λουτρόν, ტ: „არა თუ მას ეგმარებოდა **საბანელი**“ (ეგს. 1, I, 175,10); „არა თუ მას უკმა **ნათლისღებად**“ (ეგს. 2, I, 187,1).

საბლარდნელი/სამოსელი – სახვეველი; ἄλουργός, ი (მენამული სამოსი, პორფირი): „მენ მეუფისა ჯორცსა **საბლარდნელითა** შემოსენ“; (პროკ. 2, I, 159,6); „მას დღესა, ვითარცა მეუფემან სამოსელი სამეუფოდ შემოსნა ჯორცნი იგი“ (პროკ. 1, I, 148,2).

სათნო-ჩენა – სათნოდ მიჩნევა, მოწონება: „ქალწულმან წმიდამან საშოფთ შვა, ვითარცა **სათნო-იჩინა**“ (პროკ. 3, II, 169,16-17).

საიდუმლოდ – μυστήριον, ტ: „რამეთუ **საიდუმლოდ** არს დაფარული“; „მიიღო **საიდუმლოდსა** მის სწავლად“ (ფს.ოქრ., III, 69,4-5); „და ვერ გულისჯმა-ეყო მათ **საიდუმლოდ** იგი მეუფისა“ (ფს.ოქრ., IV, 70,1); „ან ჯამლად ღმრთისა განგებულებასა იტყვს **საიდუმლოსა**“ (ოქრ. 7, I, 139,12).

საკრველი – იხ. შეთხზული.

საკურთხეველი – θυσιαστήριον, ტ: „შენ **საკურთხეველსა** ზედა გამოსცხადენ“ (ოქრ. 7, II, 140,16).

სამოსელი – იხ. საბლარდნელი.

სამშჳალი – ლურსმანი; ἵλις, ო: „ჯერ-არს ჩემდა ჯუარცუმად და **სამშჳალითა** დამშჳალვად“ (ფს.ოქრ., III, 67,4).

საუნჯჳ – საგანძურის საცავი; ἀποθήκη, ი: „და შემძლებელ ვიქმნე შეყენებად **საუნჯეთა** ჩემთა“ (ეგს. 2, IV, 198,13); „და შეუძლო მათი შეწყუდომად **საუნჯესა** ჩემსა“ (ეგს. 1, IV,

181,21).

საუცარი – საოცარი, განსაცვიფრებელი; κατα-πρήκτικός: „საუცარი რაღმე აჰვიდა სასმენელთა ჩუენთა იოვანე“ (ოქრ. 7, II, 141,18-19).

საფასქ/მონაგები – ქონება; χρῆμα, τόν: „მეცსეულად საფასეთა აღთქემითა მოვიყვანო იგი ქეუმე ფერჯთა ჩემთა“ (ევს. 1, V, 183,3-4); „და დიდითა მით აღთქემითა მონაგებთადათა დავამდაბლო იგი ფერჯთა ჩემთა“ (ევს. 2, V, 201,7-8).

საშუმინველი – იხ. მშვნევირი.

საწერტელი – საჩხვლეტელი; κέντρον, τόν: „დაბრყვლდენ ყოველნი საწერტელნი ჩემნი“ (ევს. 2, IV, 197,1); „და დაბრჯგუვლდეს ჩემნი საწერტელნი“ (ევს. 1, IV, 180,14-15).

საწყალობელი – იხ. უბადრუკი.

სახქ – ხატი, მსგავსება; τῆσιν, τόν: „არამედ ჩუენთჳს ნათელ-ილო, რადთა ჩუენ მოგუეცეს სახედ ნათლისღებისა მის ნიჭი“ (ევს. 2, I, 187,3-4); „არამედ ჩუენთჳს ნათელ-ილო, რადთა ჩუენ სახე მოგუანიჭოს ნათლისღებისად“ (ევს. 1, I, 175,11-12); εἰδός, τόν: „და სხუად სახედ განცდად იცვალა“ (ევს. 2, VI); „სხუასა სახესა განსაცდელსა მოვიდა“ (ევს. 1, VI, 183,19-184,1); „ხოლო აქა სულიწმიდად სახედ ტრედისა გარდამოჴდა“ (პროკ. 1, III, 151,1-2); „ხოლო აქა სულიწმიდად სახითა ტრედისათა გარდამოჴდა“ (პროკ. 2, III, 160,16).

სახელისწოდებად – დარქმეული სახელი; προσηγορία, ἷ: „დედლობისა მისისა სახელისწოდებად მიანიჭე“ (ფს.ოქრ., II, 59,6).

სახიერი – კეთილი, მოწყალე; ἄγαθός, ὅ: „აუვარებდით უფალსა, რამეთუ სახიერ არს. არა არს მომავალი ფიცხელ, არამედ სახიერი სახიერისაგან იშვა ძქ“ (პროკ. 1, V, 155,2-4).

სიბორგილი/სიბოროტქ – სიგიჟე, ჭკუამცდარობა: „რადთა იგი დასათრგუნველად ჩუენდა დაეცეს თჳსთაგან სიბორგილთა და თავი თჳსი დაცოხნილი შეჭამოს“ (ევს. 2, I, 187,13-15); „რადთა იგი დათრგუნვილი ჩუენ მიერ, თჳსისაგან სიბოროტისა ცოხნილი შეიჭამოს“ (ევს. 1, I, 175,20-176,1).

სიბოროტქ – იხ. სიბორგილი.

სიმართლისა სარჩელი – სამართლიანი განაჩენი; δικαιοκρισία, ἷ: „ხოლო მას სიმართლისა სარჩელისა ნიჩაბი აქუს“ (ოქრ. 7, II, 141,9-10).

სიმაღლქ – μεγαλειός: „ხოლო მე არა უვარ-ვყო სიმაღლქ ღმრთეებისა შენისად“ (ფს. ოქრ., II, 57,5-6); ὑψηλός: „ვითარ აჩუენე სიმაღლქ, აჩუენე სიმაღლქცა“ (ოქრ. 7, III, 143,1-2).

სიმაღალქ – მორჩილება, თავმდაბლობა; ταπεινο-φροσύνη, ἷ: „მ სიმაღალქ უფლისად – გარდამოსლჳდ მეუფისად ზეცით“ (ფს.ოქრ., I, 54,11); „განვჰკრთები ფრიადსა მას სიმაღალესა მაცხოვრისასა“ (პროკ. 1, III, 151,4-5); „განმაკვრევს მე სიმაღალე მაცხოვრისა“ (პროკ. 2, III, 160,18); „ზეცით მამამან სიხარულით გარდამეტებულსა მას სიმაღალესა ძისასა მწრაფლ ბჭენი ცისანი განუხნა“ (პროკ. 1, VI, 156,4-5); ταπεινός, ἷ: „ესევითარი სიმაღალქ უფლისად იხილა იოვანე“ (ოქრ. 7, 142,5); „ვითარ აჩუენე სიმაღალქ, აჩუენე სიმაღლქცა“ (ოქრ. 7, III, 143,1-2); τὸ ἰδιωτικὸς σχῆμα (უბრალო გარეგნობა): „უფალი სიმაღალით მოხუედ და თავსა მე მომიდრეკ?“ (ოქრ. 7, III, 142,20-21).

სიმრავლქ – იხ. ბუნებად.

სინანული – μετάνοια, რ: „მე ნათელ-გცემ თქვენ წელითა სინანულად“ (ოქრ. 7, I, 139,9).

სინანულისა ქადაგი – ὁ μετανοίας Κήρυξ: „მე – სინანულისა ქადაგი“ (ოქრ. 7, II, 141,1).

სიტყვსგებად – პასუხის გაცემა; ἀπάντησις, რ: „არამედ ვითარ იხილა ეშმაკმან, ვითარმედ არცაღა ერთი სიტყვსგებად ცხად იყო“ (ევს. 2, VI, 204,11-12); „რაჟამს უკუე იხილა ეშმაკმან, ვითარმედ არცა ერთი სიტყვსგებად განცხადებულ იქმნა“ (ევს. 1, VI, 185,1-2).

სიჩჩო (სიყრმე) – ჩვილობა; ἔμβριον, ტ: „ვიდრე სიჩჩოსა და სიყრმესა შეპყრობილ ვიყავ, სიხარულით დღესასწაულსა შენსა გარდავიჭდიდი“ (ფს.ოქრ., II, 58,6-7).

სინმიდქ – ἀγνοή, რ: „რადთამცა წყალთაცა მათ სინმიდისა იგი მაღლი მისცა“ (პროკ. 1, III, 151,13).

სიხარული – იხ. შეებად.

სიხარულით აღესება – იხ. განცხრომა.

სლვად – იხ. სრბად.

სოფელი – იხ. ცისკიდე.

სრბად/სლვა – მსვლელობა: „რომელი დაბადებულთათჳს ზემთა ცნობისა მოვიდა... ხოლო მზისა სრბისა და ვარსკულაფთა სიმრავლისა გამოუთქმელისა რიცხვსა ჳელოვნებით მოქმედი“ (პროკ. 2, II, 159,14-17); „მისითვე ბრძანებითა მჴქ თჳსსა ზედა წესსა ვალს“ (პროკ. 1, II, 149,2).

სრული კაცი – ὁ ἄλιος ἄνθρωπος: „ვითარცა არს მხოლოდ სრული კაცი“ (ოქრ. 7, III, 142,2-3).

სრულისაგან სრული/ღმერთი ღმრთისაგანი – τὸν ἐκ τελείου τέλειον: „რომელი სრულისაგან სრული ყრმა იჴვა“ (პროკ. 2, III, 161,1); „რამეთუ ღმერთი ღმრთისაგანი... ყრმად იჴვა ქალწულისაგან“ (პროკ. 1, III, 151,5-7).

სუფევად/შარავანდედი – მეფობა; βασιλεία, რ: „და უჩუენა მას ყოველი სუფევად ამის სოფლისაჲ“ (ევს. 2, V, 200,4); „და უჩუენა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი“ (ევს. 1, V, 182,13). „...შენ აღუთქუამ მიცემად სუფევასა“ (ევს. 1, V, 182,17); „...და აღუთქუამ შარავანდედსა მაგას ყოველთა“ (ევს. 2, V, 200,8).

სწრაფვა – მისწრაფება, მონდომება: „სარწმუნოებითა და სიყუარულითა სწრაფა სჯელსა შინა უფლისასა“ (პროკ. 2, V, 162,11).

ტ

ტყვვი (ბრჴენი) – ტყვია, კალა: „...და დაანთქა ფარაო, ვითარცა ტყვვი ზღუათა შინა“ (ევს. 1, III, 178,20-21).

უ

უბადრუკი/საწყალობელი – უბედური, საბრალო; ἄθλιος: „და ვად მე, უბადრუკსა“ (ევს.

1, IV, 180,12); „და ვად არს ჩემდა, **საწყალობელისა** ამის“ (ეგვ. 2, IV, 196,9-10); „რასა იტყვ, **უბადრუკო** ეშმაკო“ (ეგვ. 1, V, 182,15); „რასამე იტყვ, **საწყალობელო** და მზაკუვარო“ (ეგვ. 2, V, 200,6).

უბიწო – უნაკლო; ἄσπιλος: „ვითარ განგებანო შენ, **უბიწო** და შეუცოდებელი“ (ფს. ოქრ., II, 61,11); ἄχραντος: „და გარე-შეემოსე **უბიწოსა** მას გუამსა“ (ფს. ოქრ., II, 63,11).

უთესლო – ἄσπορος: „თანამოდგამ ექმნა ქუეყანისა შობილთა ზეცისა იგი ნაყოფი, **უთესლოდ** აღმოცენებული“ (ფს. ოქრ., I, 55,7-8); „ქალწულისაგან იმეფ **უთესლოდ** ნაყოფი“ (პროკ. 1, V, 154,7).

უკუმართ (**უკუდმართ**) – უკან; ὀπίσθω: „უკუნ-აქცინა ღელვანი თვსნი **უკუმართ**“ (ოქრ. 7, III, 143,5).

უკუნ-ქცევა – მიბრუნება, უკან გაბრუნება; ἀνατρέπω: „**უკუნ-აქცინა** ღელვანი თვსნი **უკუმართ**“ (ოქრ. 7, III).

ულმობელი – უტკივარი, უმწუხარი; ἀπαθής: „რომელი-იგი მან მხოლომან შვა მხოლოდ **ულმობელად**“ (ფს. ოქრ., IV, 70,2-3).

უნდოდ შეურაცხი – იხ. ლიტონი.

უსრულებად – არასრულყოფილება; ἀτέλεια, ἥ: „რამეთუ ყრმად ერეენებოდა და ჩუენსა ამას **უსრულებასა** გუემსგავსებოდა“ (პროკ. 1, I, 147,2-3); „ხოლო წინასწრობილი დღესასწაული უსრულსა ასაკითა ჩჩვლსა გუაჩუენებს, ჩუენისა **უსრულებისა** შემასმენელსა“ (პროკ. 2, I, 158,12-13).

უსრული/არა ყოვლად სრულ-ყოფა – არასრული, არასრულყოფილი; ἀτέλῃς: „ხოლო წინასწრობილი დღესასწაული **უსრულსა** ასაკითა ჩჩვლსა გუაჩუენებს, ჩუენისა **უსრულებისა** შემასმენელსა“ (პროკ. 2, I, 158,12-13); „პირველი იგი დღესასწაული **არა ყოვლად სრულ-იყო**, რამეთუ ყრმად ერეენებოდა და ჩუენსა ამას **უსრულებასა** გუემსგავსებოდა“ (პროკ. 1, I, 147,2-3).

უფლისმოყუარე – φίλο-δέσποτος: „არამედ ვითარცა მონამან **უფლისმოყუარემან** მოსლვად შენი უწინარესვე ვჟადაგე“ (პროკ. 1, IV, 153,7-8); „და ვითარცა მონამან **უფლისმოყუარემან**, შიშით და ძრწოლით აღიმადლა ჳმად თვსი“ (ფს. ოქრ. 7, II, 56,2-3).

ულადი – უწყლო, მშრალი: „რომელმან გამოაცენნა წყალნი **ულადისა** მისგან კლდისა“ (ეგვ. 2, III, 193,2-3).

უშუერი – უშნო, ულამაზო; ἀκοσμία, ἥ: „სოფელი იგი **უშუერი** განაშუენა და განაკეთა“ (პროკ. 1, I, 146,1-2).

უშჯულოებად – ἀνόμιμα, τὸ: „ხოლო ცეცხლითა მით ძლიერითა – **უშჯულოებათა** იგი ეკალნი შეწუვად“ (ფს. ოქრ., III, 69,3); πλῆμ-μέλημα, τὸ: „და მისი ცოდვად და **უშჯულოებად** ტვრთად ვინებე“ (ოქრ. 7, IV, 144,19).

უცოდველი – ἀναμάρτητος, ὁ: „ესევეთარი ძქ ესევეთარსა მონასა მოსცა: მოძულე-ბულსა – საყუარელი, შეცოდებულსა – **უცოდველი**, არადიდებულსა – დიდებული“ (ოქრ. 7, IV, 145,15-17); „ვითარმე ამან შეცოდებულმან განვწმიდო ღმერთი **უცოდველი**“ (პროკ. 1, V, 154,7-8).

უცხო – 1) სტუმარი, გარეშე; ξένος, ὁ: „ვითარცა ლიტონი და უცხო მოხუდ“ (ოქრ., III, 142,11-12); 2) სხვა არსი; ἑτεροῦσιος: „ძქ ჩემი, ბუნების მტე არსებითა და არა უცხო ჩემგან“ (ფს.ოქრ., IV, 71,6-7).

უძღვებად – გაუმაძღრობა, სიხარბე; ἀπληστία, ἡ: „არა არს განცხრომად ჩუენი უძღვებებით, არამედ ვალობით“ (ფს. ოქრ., I, 53,9-54,1).

უნყება – ცნობება, გაგებინება; κηρυσσω: „მისითვე პირითგამო ყოველთა ვაუნყე...“ (პროკ. 1, IV, 153, 9-10).

ფ

ფიცხელი – მკაცრი, სასტიკი; ἀστυρτότης, ἡ: „არა არს მომავალი ფიცხელ“ (პროკ. 1, V, 155,3).

ფროქ – იხ. გოლოლი.

ქ

ქადება//თქუმა – მუქარა, აღთქმა, დაპირება: „უკუეთუ ვთქუა, ვითარმედ ვდგა, ვერ დაუთმო მისსა ქადებასა“ (ევს. 1, IV, 181,11); „უკუეთუ ვთქუა, ვითარმედ წინა-აღუდგე, ვერ შემძლებელ ვარ დათმენად თქუმათა მისთა“ (ევს. 2, IV, 198, 2-3).

ქალწული – παρθένος, ἡ: „უძლიერქსი მოვალს, მე – მის მიერ და იგი – არა ჩემ მიერ; მე – ბერწისაგან, იგი – ქალწულისაგან...“ (ოქრ. 7, II, 158, 1-2).

ლ

ლაღადება – ხმამაღლა თქმა, ვედრება: „ლაღადებდა მისა მიმართ მეტყუელი“ (პროკ. 3, II, 166,13); „...შორითვე ლაღადებდა“ (პროკ. 3, III, 172,5).

ღმერთი ღმრთისაგანი – იხ. სრულისაგან სრული.

ღმრთეება – ღვთაებრიობა; θεότης, ἡ: „და დაიფარა დიდებად იგი ღმრთეებისად“ (ევს. 2, 199,12); „და არცა ღმრთეებად იგი აჩუენა, არცა კაცობრივისაგან იცვალა“ (ევს. 2, V, 202, 4-5); „და დაფარა პატივი იგი ღმრთეებისად“ (ევს. 1, 182,9); „არცა კაცობრივ აჩუენა, არცა ღმრთეებრი“ (ევს. 1, V, 183,13-14); „და შეემშია, არათუ ღმრთეებასა მას, არამედ მონებისა მას ხატსა“ (ევს. 2, 203,2-3); „...განალო მცირედ ცნობად ღმრთეებისად“ (ევს. 2, VI, 205,4-5); „...განალო მცირედ კარი ღმრთეებისა მისისად“ (ევს. 1, 185,5-6); „და ნულარა ჰქადაგებ ღმრთეებასა ჩემსა და მეუფებასა ენითა შენითა“ (ფს.ოქრ., III, 64,8-9); ἡ θεία ὁσιότης: „დალათუ ჩემითა ხატითა გხედავ შენ, უვარმცა-ვყავა ღმრთეებად შენი უხილავი?“ (ფს. ოქრ., II, 57,9-10).

ღმრთის განგებულება – საღვთო ჩანაფიქრი; οἰκονομία, ἡ: „ან ჳამლად ღმრთისა განგებულებასა იტყვს საიდუმლოსა“ (ოქრ. 7, I, 139,12).

ღმრთისმოყვარე – φιλόχριστοι (ქრისტესმოყვარე): „კაცნო ღმრთისმოყვარენო და ძმათმოყვარენო, მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ჩემთა“ (ფს. ოქრ. , I, 53,1-2).

ღმრთისშეუენიერება – θεοπρεπής: „რაჟამს მიხილო მე ღმრთიშეუენიერებით დაბადებულთა თანა“ (ფს. ოქრ. , III, 65,10).

ყ

ყოველთა ცხორება – ἡ πάντων ζωή: „დღეს გამოგვჩნდა ყოველთა ცხორება“ (პროკ. 1, V, 156,2).

ყოვლად დაუსაბამო – πάντων ὑπάρχω: „ალილე თავი ყოვლად დაუსაბამო“ (ოქრ. 7, III, 143,1).

ყოფა – იხ. აღსრულება.

ყრმად/ჩჩვლი – ბავშვი; παιδικός, ὁ: „ვითარცა მშობელმან ჩემმან ჩჩვლთა ყრმათა სახეველითა შემხვა მე“ (ფს. ოქრ., III, 68,6-7); βρέφος, τό: „რამეთუ ყრმად ერეენებოდა და ჩეენსა ამას უსრულებასა გუემსგავსებოდა“ (პროკ. 1, I, 147,2-3); „ხოლო წინასწრობილი დღესასწაული უსრულსა ასაკითა ჩჩვლსა გუაჩეენებს, ჩეენისა უსრულებისა შემასმენელსა“ (პროკ. 2, I, 158,12-13); „...ყრმად იშვა ქალწულისაგან“ (პროკ. 1, III, 151,7); „რომელი სრულისაგან სრული ყრმა იშვა“ (პროკ. 2, III, 161,1).

შ

შარავანდელი (შარავანდი) – 1) შარავანდელი//მეფე – მეფე გვირგვინოსანი: „რამეთუ ერისაგანი ესე მოელის შარავანდელისაგან“ (ევს. 2, II, 189,9-10); „მჯედარსა ევმარების მეფე“ (ევს. 1, II, 177,3-4); βασιλεύς, ὁ: „რომელი ცხორებასა მისცემს ყოველთა შარავანდელთა“ (ევს. 2, V, 200,8-9); „და ხარებასა მიჰმადლებს მეფეთა“ (ევს. 1, V, 182,16-17); 2) შარავანდელი//სუფევად – მეფეება; βασιλεία, ἡ: „...და აღუთქუამ შარავანდელსა მაგას ყოველთა“ (ევს. 2, V, 200,8); „...შენ აღუთქუამ მიცემად სუფევასა“ (ევს. 1, V, 182,17); 3) ბრწყინვალეობა, ნათელი; „სამეთვო გვირგვინი მსგავსი სხივთა“ (საბა): „გამოგვჩნდა შემოქმედი შარავანდელთა მზისათა“ (პროკ. 3, I, 165,8); „ღმრთიეებრსა შარავანდლსა შენსა ვერ უძლებ“ (პროკ. 3, III, 170,3). იხ. სუფევად.

შეგვანება – შეშვენება, შეფერება: „შეჰვავს ჩემდა აღსრულებად“ (ოქრ. 7, IV, 144,12-13).

შევრდომა//დავარდნა – ჩავარდნა; πεσών: „ესე ყოველი შენ მიგცე, უკუეთუ შემვივრდე და თაყუანის-მცე მე“ (ევს. 1, V, 182,14); „უკუეთუ დავარდე და დამჯედ თაყუანის-მცე მე“ (ევს. 2, V, 200,5).

შევრდომა – ἐφάπτω: „შეუვრდებოდა ფერჯთა მისთა“ (პროკ. 1, IV, 152,8-9); „შეუვრდებოდა და თაყუანის-სცემდა“ (პროკ. 2, IV, 161,15).

შეთხზული/საკრეელი – შერთული, შეგრეხილი; συνή, ἡ: „ამას დღესა შეთხზულსა მას

ცოდვასა ძეთა კაცთასა განჰჳსნის“ (პროკ. 1, I, 148,1); „ხოლო აქა დაიჳსნებიან საკრველნი ცოდვათანი“ (პროკ. 2, I, 159,4-5).

შეინრება//შეძრება – შეწეება, გასაჭირში ჩავარდნა; ἄγαν, ὅ (ბრძოლა): „უფროჲს გულითა შეინრდებოდა“ (პროკ. 1, IV, 152,8); ღუანლითა მრავლითა გული შეეძროდა (პროკ. 2, IV, 161,14-15).

შეკლება – მოხატრება, მორიდება, შერცხვენა: „რომლისაგან იოსებ შეიკლიმა ქმნად უსჯულოებისა“ (პროკ. 3, II, 168,6-7).

შემასმენელი – მიმანიშნებელი, მომასწავებელი: „წინასწრობილი ღღესასწაული უსრულსა ასაკითა ჩჳვლსა გუაჩვენებს, ჩუენისა უსრულებისა შემასმენელსა“ (პროკ. 2, I, 158,12-13).

შემოსვა – იხ. შთაცუმა.

შემოქმედი – ποιητής, ὅ: „შემოქმედსა მაგას ყოველთასა აღუთქუამ შექმნულთა მისთა მიმადლებად მას“ (ევს. 2, V, 200,6-7); „შემოქმედსა ყოველთა დაბადებულთასა აღუთქუამ მინიჭებად“ (ევს. 1, V, 182,15-16); „გიცნა შენ შემოქმედი და უკუნ-აქცინა ღელვანი თჳსნი უკუმართ“ (ოქრ. 7, III, 143,5); κτίστης, ὅ: „...რადთა იცნობოს შემოქმედი, სოფლისა მომცემელი“ (ოქრ. 7, IV, 145,14-15); „შექმნული იგი შემოქმედისაგან დამტკიცნების და არათუ შემოქმედი – შექმნულისაგან“ (ფს. ოქრ., II, 57,1-2); πλαστής, ὅ: „რამეთუ ადვილ არს ესე შენ მიერ, შემოქმედისა ბუნებათადას“ (ფს. ოქრ., II, 59,9-10); Δημιουργός, ὅ: „ვიცი, რავდენ არს შორის მონისა და შორის შემოქმედისა“ (ფს. ოქრ., 61,2-3; „რამეთუ შემოქმედი შენი მოვალს ჳორცითა შენდა“ (ფს. ოქრ., II, 63,6-7); „მას ჟამსა შემოქმედი ბუნებათად აღიდე“ (ფს. ოქრ., III, 65,12-13). იხ. მეკეცე.

შენივთებული – გამყარებული, დამტკიცებული; μέτοιχος (მკვიდრი): „მე კაცი ვარ საღმრთოჲსა ბრძანებისაგან შენივთებული...“ (ფს. ოქრ., II, 59,11).

შესაქმე/მოძიებად – შექმნა, გაჩენა; ἐπίσκευς, ἦ: „თიჳსა უჳმს მეკეცე შესაქმედ“ (ევს. 1, II, 177,3); „ან მინისაგანსა ამას უჳმს მოძიებად შემოქმედისაგან“ (ევს. 2, II, 189,8-9).

შესმენა – გაცონება, მოსწავება: „შესამინა სასწაული მრავალთა სასწაულთა“ (პროკ. 2, I, 158,4).

შესუარული – იხ. ამომწუხებელი.

შესულებად – იხ. განკვრეებად.

შესხმად – ხოტბა, შექება: „ვერ კადნიერ ვიქმნე შესხმად“ (პროკ. 3, II, 167,3).

შემტკობელი – შემთვისებელი: „ღღეს ღღე ესე ჳეშმარიტი ქადაგებისა შემტკობელი“ (პროკ. 3, I, 165,1).

შეუცოდებელი – იხ. უცოდველი; ἀναμάρτητος, ὅ: „ვითარ განგებანო შენ, უბიწოდ და შეუცოდებელი“ (ფს. ოქრ., II, 61,11).

შექმნული/დაბადებული – ποιημα, τὸ: „შემოქმედსა მაგას ყოველთასა აღუთქუამ შექმნულთა მისთა მიმადლებად მას“ (ევს. 2, V, 200,6-7); „შემოქმედსა ყოველთა დაბადებულთასა აღუთქუამ მინიჭებად“ (ევს. 1, V, 182,15-16).

შექმნული – κτίσμα, τὸ: „შექმნული იგი შემოქმედისაგან დამტკიცნების და არათუ

შემოქმედი – **შექმნულისაგან**“ (ფს.ოქრ., II, 57,1-2).

შეყენებად/შენყუდომა – შეჩერება, ჩაგდება; ἐγκλείσθαι: „და შემძლებელ ვიქმნე შეყენებად მათა საუნჯეთა ჩემთა“ (ევს. 2, IV, 198,13); „და შეუძლო მათი **შენყუდომა** საუნჯესა ჩემსა“ (ევს. 1, IV, 181,21).

შეყენებული – შეჩერებული, დაკავებული; κατεχόμενος: „...და აღმოყვანებად მას შინა **შეყენებულთა**“ (ფს.ოქრ., III, 67,7); κατεσφαισμένους: „საშოსა ღედისასა ვიყავ **შეყენებულ**“ (ოქრ., 7, 143,11).

შეყოფა – შეერთება, შერევა; συντάττω (συντάσσω): „**შეყო** საწყალობელთა მონყალქ იგი“ (ფს. ოქრ., I, 55,4-5).

შეცდომილი – πλανώμενος: „რომელი **შეცდომილისათვის** ცხოვრისა ზეცით გარდა-მოვდა“ (ფს.ოქრ., I, 55,6-7).

შეცოდებული – ἀμαρτανός, ὁ: „ესე ვითარი ძქ ესე ვითარსა მონასა მოსცა: მოძულებულსა – საყუარელი, **შეცოდებულსა** – უცოდველი, არადიდებულსა – დიდებული“ (ოქრ. 7, IV, 145,15-17); κατὰ-ῥῆσιν: „ვითარმე ამან **შეცოდებულმან** განვწმიდო ღმერთი უცოდველი?“ (პროკ. 1, V, 154,7-8).

შედრვა – იხ. შეინრება.

შედრწუნება (ძრწოლა) – შეშფოთება, შეშინება: „ანგელოზნი მოხედვასა შენსა **შედრწუნდიან**“ (ევს. 2, II, 189,4); „ანგელოზნი წამისყოფასა ოდენ შენსა **შედრწუნდებიან**“ (ევს. 1, II, 176,16-17); „**შედრწუნდა** გონებითა, რამეთუ გულისგმა-ყო საღმრთოვსა მის ბუნებისა სიმდაბლქ“ (ფს.ოქრ., II, 56,1-2); „ეგრეთვე ან **უძრწი**“ (პროკ. 170,3); „...**შედრწუნდა** ფრიად“ (პროკ. 3, III, 170,7);

შედრწუნებული/ძრწოლა – τρέμω: „ხოლო ზეგარდამოვსა მისგან წმისა შეშინებულ და **შედრწუნებულ ვარ...**“ (ევს. 2, IV, 199,1); „ხოლო ზეგარდამო რომელ ესმა წმისაგან, შეშინის და **ვძრწი...**“ (ევს. 1, IV, 181,23-24); „**შეშინებულ და შედრწუნებულ** არს გონებად ჩემი“ (პროკ. 1, IV, 152,4-5); **ძრწის** გონებად ჩემი (პროკ. 2, IV, 161,12);

შეძლუნა – იხ. შეწირვა.

შეწირვა/შეძლუნა – მირთმევა; περισφένω: „მუნ მოგუთა ძლუენი ვითარცა მეუფისა **შეწირეს**, ხოლო ამას ღღესა ანგელოზნი ზეცით მოვიდეს და ვითარცა ღმერთსა ღმრთისაგანსა ღირსად იგი მსახურებად **შეწირეს**“ (პროკ. 1, I, 147,7-9); „მუნ მოგუენი მკვრცხლნი ვილოდეს და ვითარცა მეუფისა ძლუქნსა **შესძლნობდეს**, ხოლო აქა ანგელოზნი ზეცით მოვიდოდეს და ვითარცა ღმერთსა შეწნიერებით მსახურებასა **შესწირვიდეს**“ (პროკ. 2, I, 159,1-3).

შენყენარება – მიღება; ἐνοικίω (ესახლდები, ვმკვიდრდები): „ყურნი თქუენნი განჰმარტენით **შენყენარებად** თქუმულთა ჩემთა“ (ფს.ოქრ. , I, 53,2-3).

შენყენარება/მოღება – მიღება, აღება; μεταλαμβάνω: „იორდანეს მიერ ნათლისღება შეინყენარა“ (პროკ. 2, I, 158,10-11); „კურთხევად იგი იორდანისად **მოიღო**, მიიწია და განეფინა მას ზელა“ (პროკ. 1, I, 146,11-147,1).

შენყუდევა – იხ. დაყენება.

შენწყდომად – იხ. დაყენებად, შეყენებად.

შენწყდომილი – დამწყდელი; καθήμενος: „ჯერ-არს ჩემდა ჯორცთა ჩემთა სანთელი აღნთებად **შენწყდომილთათჳს** ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა“ (ფს.ოქრ., III, 67,10-11).

შთავლენა – იხ. წარცემა.

შთაცუმა/შემოსვა – ἐν-ბნა (ჩაცმა რაიმესი რამეზე): „და მან ჯორცნი კაცთანი **შთაიცუნა**“ (ევს. 2, IV, 196,5); „...კაცისა ჯორცნი **შეიმოსნა**“ (ევს. 1, IV, 180,7). ἀναλαμβάνω: „ხატი მონებისად **შთაიცუა**“ (პროკ. 1, III, 151,8).

შუება – განცხრომა, მხიარულება: κατατρυφάω: „ამისთჳსცა **ვიშუებდეთ სიხარულით**...“ (ფს. ოქრ. , I, 53,8-9).

შუებად – „და უკუეთუ კაცი იყოს, მართოდ იპოვოს **შუებად** ამის ქეყანისა დიდებასა“ (ევს. 2, V, 201,15); „უკუეთუ ესე კაცი არს, მისდრკეს ქეყანისა **შუებასა**“ (ევს. 1, V, 183,10).

შუებად/სიხარული – εὐφροσύνη, ი: „ყოველი სოფელი **შუებითა** აღივსების“ (პროკ. 2, I, 158,5-6); „ყოველი დაბადებული **სიხარულითა** აღსავსე არს“ (პროკ. 1, I, 146,5-6).

შუილი – ხმაური: „...ვეგონო მე ძედ **შუილისად**“ (ოქრ. 7, IV, 144,16).

შჯული – νόμος, ო: ჯერ-არს ჩემდა აღსრულებად **შჯული** და მერმე მიცემად მაღლი“ (ფს.ოქრ., III, 66,14); „წინა-დავიცვთე, რადთა **შჯული** აღვასრულო“ (ოქრ. 7, III, 144,7).

შჯულისმდებელი – νομοθέτης, ო: „რამეთუ **შჯულისმდებელი** ვარ და ძქ **შჯულისმდებელისად**“ (ფს.ოქრ., III, 66,11).

ჩ

ჩინებული – გამოჩენილი: „და რომელსა-იგი **ჩინებულ** ხარ, ნუ დაჰმედგრდები ნათლისცემად ჩემდა“ (ევს. 2, II, 191,1-2).

ჩჩვლი – იხ. ყრმად.

ც

ცისკიდც/სოფელი – ქვეყანა, მსოფლიო; οἰκουμένη, ი: „და ყოველთა **ცისკიდეთა** განწმედად და ჳსნად მოგუანიჭა“ (ევს. 2, I, 186,6-7); „და **სოფელსა** განწმედად და გამოჳსნად მოანიჭა“ (ევს. 1, I, 175,6); „რომელი განმზადებულ არს **ცისკიდეთა** ნათლისცემად სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (ევს. 2, III, 194,13-195,1); „რომელსა ჳნებაჳს **სოფლისა** ნათლისცემად სულითა წმიდითა“ (ევს. 1, III, 179,15-16); „ნუეკუე ესე იყოს, რომელი განმზადებულ არს განმჯად **ცისკიდეთა**?“ (ევს. 2, IV, 195,14).

ცოდვილი – ἁμαρτωλός, ო: „კაცისაგან **ცოდვილისა** ნათელს-ილება“ (პროკ. 1, V, 154,3-4).

ცოხნილი – იხ. დაცოხნილი.

ცხოველი – ცოცხალი: „და გამოსცა ქუენარმავალი, მშვნეიერი **ცხოველი** თესლად-თესლადი“ (ევს. 2, VI, 204,1-2); „ჰრქუა ქუეყანასა გამოყვანებად ქუენარმავალი

საშუამშენებელი ცხოველი მსგავსად ნათესავისა“ (ევს. 1, VI, 184,12-13); ჯდov: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთის ცხოველისა“ (ფს.ოქრ., IV, 74,5-6).

ცხოველსმყოფელი – გამაცოცხლებელი; σωτήριος: „და მიიღეთ ჩემგან ცხოველსმყოფელი სმენად...“ (ფს.ოქრ., I, 53,3).

ცხოველ-ქმნა – გაცოცხლება; ζωοποιόν: „რომელთა სწყურის, სუმენ მის წყაროდსაგან და ცხოველ-იქმნებიან“ (ოქრ. 7, I, 139,2).

ცხოველ-ყოფა – ზღწო (უანგისგან ვასუფთავება): „ვითარცა უკუდავმან, მკუდარნი ცხოველ-ყვნა“ (პროკ. 1, V, 156,3). იხ. განცხოველება.

ცხოვრებად/ხარებად – σωτηρία, იქ: „რომელი ცხოვრებასა მისცემს ყოველთა შარავანდედთა“ (ევს. 2, V, 200,8-9); „რომელი მეუფე არს ყოველთად და ხარებასა მიჰმადლებს მეფეთა“ (ევს. 1, V, 182,16-17). σωτηρία, იქ: „ჰურიათა და წარმართთა ნათლისღებითა მიანიჭებს ცხოვრებასა...“ (პროკ. 1, II, 150,1-2); „ჰურიათა და წარმართთა ნათლისღებითა ცხოვრებასა მოანიჭებს...“ (პროკ. 2, II, 160,4-5).

ძ

ძე მეუფისად – ὁ Υἱὸς βασιλέως: „ზეცას ძეო მეუფისაო და ქუეყანასა – ძეო მეუფისაო“ (ოქრ., 7, 142,13).

ძმათმოყუარე – Φιλάνθρωπος: „კაცნო ღმრთისმოყუარენო და ძმათმოყუარენო, მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ჩემთა“ (ფს.ოქრ., I, 53,1-2).

ძრწოლა – იხ. შეძრწუნება, შეძრწუნებული.

ძღუენი – შესაწირავი, საჩუქარი; δωρεά, იქ: „ძღუენი ვითარცა მეუფისა შეწირეს“ (პროკ. 1, I, 147,1); „ვითარცა მეუფისა ძღუეწსა შესძნობდეს“ (პროკ. 2, I, 159,1-2).

წ

წადიერ-ყოფა – მოსურვება, მოწადინება; ἡρῶ: „...და ითხოვ, რომლისათვის არა წადიერ ხარ“ (ფს.ოქრ., II, 56,6).

წამის-ყოფად/მოხედვად – ნიშნის მიცემა: „ანგელოზნი წამისყოფასა ოდენ შესა შეძრწუნდებიან“ (ევს. 1, II, 176,16-17); „ანგელოზნი მოხედვასა შესა შეძრწუნდებიან“ (ევს. 2, II, 189,4).

წარმართ – წინ; ἔμπροσθεν: „არა წარვალს წარმართ, უვარ-ჰყოფს წესსა“ (ოქრ. 7, III, 143,5-6).

წარმართება – წარმართვა, სწორ გზაზე დადგომა; ἐκτείνω: „იღუმიადმდე წარმემართოს სლვად ჩემი“ (ოქრ. 7, I, 139,14-15).

წარმღებ-ქმნა/მოღება – თავხედობა, ურცხვობა; λαμβάνω (ვიღებ): „მცირედ კადნიერებით წარმღებ იქმნა“ (ევს. 2, V, 200,1); „მცირედ გულსმოღვინებად მოიღო“ (ევს.

1, V, 182,10).

წარსადინელი – სადინი; რუსი, ი: „...განდებულსა, აქეს წარსადინელი“ (ოქრ. 7, I, 139,1).

წარტყუნვა – ტყვედ წაყვანა, გაძარცვა: „და წარმტყუნოს მე მიერ და ტყვედ წარმიყვანოს მე“ (ეგს. 2, IV, 197,6-7); „და წარტყუნოს ჩემი საუნჯე და ტყვედ ვიქმნე“ (ეგს. 1, IV, 181,3).

წარტყუნვა//წელთ-გდება – χεῖρ (ვიმორჩილება, ვიპყრობ): „არამედ, რადთა შენ წარგტყუნოს...“ (ეგს. 2, VI, 204,7); „არამედ, რადთა შენ შეგაშინოს და წელ-გიგდოს...“ (ეგს. 1, VI, 184,17).

წარცემა//შთავლენა – გაგზავნა; κατάγω: „ეგრეთვე იგი ეშმაკთა მისთა თანა გეჰენიასა ცეცხლისასა წარსცეს“ (ეგს. 1, III, 178,21-22); „ეგრეთვე ესე საკვრველებითა თჳსითა, წელითა ნათლისღებისადთა, შთავლენა ცეცხლსა მას გეჰენიადსასა საუკუნესა“ (ეგს. 2, III, 193,8-10).

წარწყმედა//მოკუდინება – θανατόω: „რამეთუ მან წყლითრღუნამან ნათესავი კაცთად წარწყმიდა“ (პროკ. 1, III, 150,6); „რამეთუ მუნ რღუნამან წყლისამან კაცთა ბუნებად მოაკუდინა“ (პროკ. 2, III, 160,8-9).

წარწყმედული – πλανώμενος: შეერაცხა წარწყმედულთა მათ ცხოვართა მწყემსი იგი კეთილი (ფს.ოქრ., I, 55,5-6).

წღევა – სხმა, დაღეფინება: „რომლისაგან იწღია სიტკბობად სულიერებრი“ (ოქრ. 7, I, 139,4).

წესი – 1) რიგი, წყობა; χῳρός, ბ: „...და წესნი ანგელოზთანი ზეგარდამო გაქებდეს“ (ფს. ოქრ., II, 58,15-16); 2) კანონი, ბუნება; τάξις, ი: „რადსა სცვალეს წესსა“ (ფს.ოქრ., II, 56,5); „არა წარვალს წარმართ, უვარ-ჰყოფს წესსა“ (ოქრ. 7, III, 143,5-6).

წინადაცუეთა – περιτέμνω: „წინა-დავიცუეთ, რადთა შჯული აღვასრულო“ (ოქრ. 7, III, 144,7).

წინამორბედი – πρῶτος, ბ: „მე - წინამორბედი, იგი - ზეცისად“ (ოქრ. 7, II, 141,2-3).

წინამსრბოლი – მოწინავე მებრძოლი; πρῶτος, ბ: „ვითარცა წეს არს წინამსრბოლისად“ (ფს.ოქრ., II, 63,3-4).

წინამცურვალნი – შიკრიკი; πρῶτος, ბ: „არცა წინამცურვალნი წარმოავლინნა ანგელოზთა დასნი“ (ფს.ოქრ., I, 55,1).

წინასწრობილი//პირველი – წინმსწრები; προλαβῶσα: „წინასწრობილისა ღღესას-წაულისა უფროსად ღღეინდელი ღღესასწაული გამოჩნდების სასწაულთა აღყუავებითა“ (პროკ. 2, I, 158,6-7); „პირველსა მას ღღესასწაულსა ესე უმეტეს აჩუენებს საკვრველებსა“ (პროკ. 1, I, 146,6-7).

წოლა – იხ. რულვა

წყალობად – ἔλεος, ბ: „უკუნისამდე არს წყალობად მისი“ (პროკ. 1, V, 155,5).

წყლითრღუნა//რღუნად – წარღვნა, წყალდიდობა; κατακλυσμός, ბ: „რამეთუ მან წყლითრღუნამან ნათესავი კაცთად წარწყმიდა“ (პროკ. 1, III, 150,6); „მუნ რღუნამან

წყლისამან კაცთა ბუნებად მოაკუდინა“ (პროკ. 2, III, 160,8-9).

ჭ

ჭეშმარიტი სარწმუნოებად – ἡ ἀσφάλεια πίστις: „ხოლო აქა ქრისტემან **ჭეშმარიტი**თა **სარწმუნოებითა** ჯორცთად იგი კილობანი მტკიცე-ყო“ (პროკ. 1, III, 150,11-12).

ჭვრობა – ხედვა, ჭვრეტა; κατασκοπέω: „**იჭვრობდეს** ძნოლით წმიდანი ანგელოზნი“ (ოქრ. 7, IV, 145,7-8).

ხ

ხარებად – კარგი ამბის ცნობება, გახარება; ἐπαγγελία, ἡ: „შენ **ხარებით** იშვე“ (ოქრ. 7, II, 140,15). იხ. ცხორებად.

ხატი – გამოსახულება, მსგავსება; μορφή, ἡ: „და შეეშია, არათუ ღმრთეებასა მას, არამედ მონებისა მას **ხატსა**“ (ევს. 2, VI, 203,2-3); „და შეეშია მონისა **ხატი**თა“ (ევს. 1, VI, 184,3); „დალათუ ჩემითა **ხატი**თა გხედავ შენ, უვარმცა-ვყავა ღმრთეებად შენი უხილავი?“ „მონათა შენთა ერეენე მონისა **ხატი**თა“ (ფს.ოქრ., II, 60,9-10); „**ხატი** მონებისად შთაიკუა“ (პროკ. 1, III, 151,8); εἰκών, ἡ: „ვიხილოთ ჩუენისა ამის მეორედ შობისა **ხატი**“ (ფს.ოქრ., I, 54,7).

ჯ

ჯელთ-გდება – იხ. წარტყუნვა.

ჯელთდებული – ხელში ჩაგარდნილი: „რომელი ჩუენდა **ჯელდებულ** იყო და დამორჩილებულ“ (პროკ. 2, V, 162,15-16).

ჯელოვნებად – იხ. მანქანებად.

ჯორც-ქმნა – ἡ σάρξ γίνομαι: „სიტყუად იგი **ჯორციელ იქმნა** და დაემკვდრა ჩუენ შორის“ (ევს. 2, III, 192,11-12); „სიტყუად **ჯორციელ იქმნა** და დაემკვდრა ჩუენ შორის“ (ევს. 1, III, 178,14-15).

ჯორც-შესხმა – τὸ σῶμα φορέω: „ამისთვის **ჯორცნი შევისხენ** და კაც ვიქმენ“ (ევს. 2, II, 190,6-7).

ჯსნა – იხ. აღმონოლება.

ჯ

ჯუარცუმად – ἐν σταυρῷ ἀνελεῖν: „ჯერ-არს ჩემდა **ჯუარცუმად** და სამშჯულითა დამშჯუალვად“ (ფს.ოქრ., III, 67,4).

Old Georgian Translations of Homilies on the Baptism of Our Lord Jesus Christ

Abstract

The present volume of the series “Homiletic Monuments Translated into Georgian” is dedicated to the old Georgian translations of Homilies on the Baptism of our Lord Jesus Christ. The publication includes both previously published homilies (edited and filled with corroboratory passages from other manuscripts), as well as - unpublished to this day ones. These homilies are the sermons delivered by Saint Nino and seven great Byzantine Church Fathers on the feast of the Baptism of our Lord Jesus Christ.

Most of them were translated into Georgian during the pre-Athonic period (up to the end of the 10th century) by anonymous translators and were collected in collections of homiletic-hagiographic texts of the 8th-9th centuries, called “Mravaltavi” (Books of multiple texts). Two of the sermons whose author is **Saint Sophron of Jerusalem** († 638) and are translated into Georgian by Eprem Mtsire (9th c) represent an exception. Among the texts on the Baptism, St. Nino’s († 338) homily is pseudo-epigraphic and is considered to be an anti-Arianic writing.

Julian of Tabis (the 5th century) is unknown in Christian Literature and the content of his homily is of anti-Monophysitic nature.

The source of the homily on the Baptism by Cyril of Jerusalem († 386) is found to be his own Catechesis III (PG 33, col. 425-450).

The author of two more homilies on the Baptism is **Gregory of Nyssa** († 394). The second of these two is a continuation of the first one, and is to be pronounced the following week after the feast of the Baptism of the Lord.

The first homily is known in Georgian sources as the one whose author is St. John Chrysostom (as well as in Syriac sources); however, according to a Greek source it is attributed to Gregory the Wonderworker († 270) (PG 10, col. 1177-1189). The surviving abridged Latin version of the same homily is known as the one of Gregory of Antioch (6th c.) (PG 88, col. 1865-1872).

The Greek text of the second homily is known as of the authorship of **St. John Chrysostom** (PG 64, col. 33-38) and of **Gregory of Antioch** (PG 88, col. 1871-1884), and its fragment is quoted in the work *De Sacris Parallels* (PG 96, col. 509-512) and works of Gregory of Nyssa which are considered as lost ones (PG 46, col. 1109-1112).

In the homiletic literature translated into Georgian, there are seven more homilies on the Baptism known as those of John Chrysostom († 407). Of these seven, the Greek source of only one text is identified for certain (PG 50, col. 805-808). Therefore, today the rest of them are considered as Georgian versions.

The homily on the Baptism of Saint Proclus of Constantinople († 446) (PG 65, col. 757-764) can be found in two Georgian translations.

The first text, which is included in the Mravaltavi, represents a pre-Athonic translation, while the second one is taken from the Russian Prologue-Synaxis (17th century), presumably by the Georgian royal, King Archil (1647-1713). In the Prologue-Sinaxis, which is translated from Russian, there can be found another homily known as the one belonging to Proclus: its Greek source is unknown.

The homily on the Baptism by **Pseudo-Eusebius of Alexandria** (5th c.) (PG 86, col. 372-380) is preserved in two ancient Georgian translations. One of them is included in the Athonic Mravaltavi and is translated from the Greek source, while the other is preserved in the Tbeti and Parkhali Mravaltavi and contains obvious Armenianisms.

It should be noted that compared to the Greek text, in the Georgian versions six passages have been added, which indicates the existence of an extensive edition of the Greek text.

Due to the large volume of the material, we were not able to include in this volume the homilies by Saint Gregory of Nazianzus which are translated into Georgian by three translators (Saint Euthymius the Athonite, Ephrem Mtsire and David of Tbeti). The following edition of the series will be dedicated to this material.

გამოყენებული ლიტერატურა

ათონის მრავალთავი 1999: ათონის მრავალთავი, იოვანე ბოლნელის ქადაგებანი, გამოსაცემად მოამზადეს: მ. მაისურაძემ, მ. მამულაშვილმა, ა. ღამბაშიძემ, მ. ჩხენკელმა; ელენე მეტრეველის რედაქციით, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინს-ტი, თბ., 1999.

აღწერილობა 2009: წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერები აღწერეს, შესავალი და საძიებელი დაურთეს ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა და თინა დოლიძემ, თბ., 2009.

ბერიშვილი 2014: ბერიშვილი გ., „წმინდა სოფრონ იერუსალიმელის ნათლისღების ჰომილიათა ქართული თარგმანები“, გრაგნილი, საეკლესიო-სამეცნიერო კრებული II, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბ., 2014: 7-97.

გაბიძაშვილი 2009: გაბიძაშვილი ე., ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 3, ჰომილეტიკა, თბ., 2009.

ვახტანგაძე 2012: წმინდა ნინო, ქადაგებანი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო მღვდელმა ვლადიმერ ვახტანგაძემ, თბ., 2012.

კეკელიძე 1918: კეკელიძე კ., კიმენი, I, ტფილისი, 1918.

კეკელიძე 1957: კეკელიძე კ., უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957.

კეკელიძე 1980: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.

კლარჯული მრავალთავი 1991: კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბ., 1991.

კოჭლამაზაშვილი 2002: წმიდა გრიგოლ ნოსელი, ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2002.

კოჭლამაზაშვილი 2009: კოჭლამაზაშვილი ე., „ერთი ფსევდოპროპირისეული ჰომილიის ატრიბუციისათვის“, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი II, თბ., 2009: 342-374.

მელიქიშვილი 2012: მელიქიშვილი ნ., მაისურაძე მ., ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, I, პოშილეტიკა, გვ. 262-598, თბ., 2012.

მეტრეველი 1959: მეტრეველი ელ., „ეფრემ მცირის ავტოგრაფი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959.

რუხაძე 1960: რუხაძე ტ., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI – XVII სს), თბ., 1960.

სინური მრავალთავი 1959: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა (ივ. იმნაიშვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ, ზ. ჭუმბურიძემ, ლ. ბარამიძემ) აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბ., 1959.

ტყეშელაშვილი 2018: ტყეშელაშვილი ლ., „ფსევდოპროპიის ნათლისღების ჰომილიის ქართული თარგმანი“, გრაგნილი, საეკლესიო-სამეცნიერო კრებული VI, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბ., 2018: 171-204.

უდაბნოს მრავალთავი 1994: უდაბნოს მრავალთავი, აკაკი შანიძისა და ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, გამოსაცემად მოამზადეს: ლ. ბარამიძემ, კ. დანელიამ, რ. ენუქაშვილმა, ი. იმნაიშვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ზ. ჭუმბურიძემ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 28, თბ., 1994.

ქურციკიძე 1973: ქურციკიძე ც., ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები, II, თბ., 1973.

ყუბანეიშვილი 1946: „საკითხავი ადამ და ევაძის სამოთხით გამოსღვისად“, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946.

შანიძე 1927: შანიძე ა., ხანმეტი მრავალთავი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, თბ., 1927.

წმ. იოანე დამასკელი 2000: წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმინოშვილმა და მ. რაფაევამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფაევამ. ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბ., 2000.

წმ. ნინო 2015: წმიდა ნინო, ემბაზი ქართლისად, რჩეული წყაროები, წინათქმა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი შეადგინა დოდო (მარიამ)

დღონტმა, მცხეთა, 2015.

ჭელიძე 1996: ჭელიძე ე., ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია სევერიანე გაბალოვნელის „ექუსთა დღეთას“ უძველესი ქართული თარგმანის საფუძველზე, I, თბ., 1996.

ჭელიძე 2004: ჭელიძე ე., „ცხონების აღმოცისკრება“, თბ., 2004.

Джанашвили 1898: Джанашвили М. Г. История грузинской церкви. Книга 1, Тифлис, 1898.

Лapidус 1999: Лapidус И., прот. Святой Софроний, патриарх Иерусалимский и его борьба с монофелитством, Диссертация на соискание степени кандидата богословия, Сергиев Посад, 1999.

Попович 1890: Попович К., Патриарх Иерусалимский Софроний, как богослов, проповедник и песнописец, Киев, 1890.

Esbroeck 1975: Esbroeck M. Van, Les plus anciens homéliaires géorgiens, étude descriptive et historique par Michel Van Esbroeck, Université catholique de Louvain, Institut Orientaliste Louvain-La-Neuve, 1975.

Pitra 1876-1891: Pitra, Jean-Baptiste-Francois, Analecta sacra spicilegio solesmensi parata, 7 vols. Paris, 1876-1891.

PG: Patrologiae cursus completus, Series Graeca, accurante et recognoscente J. P. Migne, Paris, 1857-1866.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა
2020

კომპიუტერული უზრუნველყოფა და ტექნიკური რედაქტორი
შორენა ფარქოსაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, სიონის ქ. №13/40.

E-mail: gamomcemloba@mail.ru

Address of editorial Board:
13/40, SIONI STR. TBILISI.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E-mail: meridiani777@gmail.com